შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№12 (9.872)

13 - 20 აპრილი 2019 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გვ. 3

წყალი ჩვენი არსებისა!..

ბიძინა ივანიშვილი - უნდა გვახსოვდეს, რომ ეშმაკი ყოფს და განხეთქილებისკენ გვიბიძგებს!

გვ.2

„ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ“...

გვ. 4

„რადგან ჩვენც შევტრფით თავისუფლებას“...

„გამოჭრილი აქვს ყელი,
ვით კრავს, ცხრა აპრილს, აბელ,
მათ ეშინიათ ჩვენი
და გალობის ჟამს გვკლავენ.
გამორთული აქვთ დენი,
სანთლებს გვიქრობენ, აბელ,
მათ ეშინიათ ჩვენი
და სიბნელეში გვკლავენ.
ცოდვილთ ცოდვილი გენი,
კვლავაც სულს უღრღნის, აბელ,
მათ ეშინიათ ჩვენი —
და „მეგობრობით“ გვკლავენ.
მაგრამ ამოდის მზე და —
გულზე მიხაკებს გვაბნევს,
მოდის რუსთველზე დედა
და ჩვენ დაგვეძებს, აბელ!

მორის ფოცხიშვილი

აუტიზმი ჩვენს გვერდით

გვ. 5

მაკა შარმაზანაშვილი: **„არასდროს ჩამიკეტია შვილი სახლში, შეძლებისდაგვარად ყველგან დამყავდა და დამყავს. ჩემი მთავარი მესიჯი სწორედ ეს იქნება: არ დამალოთ თქვენი შვილები! ღიად ისაუბრეთ ამაზე. ვისაუბროთ, რადგან ჩვენ ბევრნი ვართ!“**

ჭაჭუნას აღკვეთილში ნერგები დარგეს

გვ. 8

„სპექტრი“ მუდმივად სიახლეების პირისპირ...

გვ. 4

C M Y K

ბიძინა ივანიშვილი - უნდა გვახსოვდეს, რომ ეშმაკი ყოფს და განხეთქილებისკენ გვიბიძგებს!

უნდა გვახსოვდეს, რომ „ეშმაკი ყოფს“ და განხეთქილებისკენ გვიბიძგებს!... წარსულში მიბრუნება დღეს სრულიად წარმოუდგენელია, - ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი ღია წერილში საუბრობს.

მისივე თქმით, ქვეყნის სტაბილურ წინსვლას რეალისტური და მკაფიო ამოცანები, მოთმინება და თანმიმდევრულობა სჭირდება, ვინაიდან წინსვლა არ არის მყისიერი პროცესი და ის ითხოვს ხანგრძლივ სამოქალაქო მშვიდობას.

„2012 წლის პირველ ოქტომბერს ქართველმა ხალხმა შესაძლებლის ზღვარზე გაიარა და წარმოუდგენელი გამარჯვება მოიპოვა. ბევრს არ სჯეროდა, რომ ნგრევის, სამოქალაქო დაპირისპირებისა და არეულობის, ყოველგვარი რევოლუციური სცენარების გარეშე, ჩვენ სამართლებრივ სივრცეში მოვახდენდით ემოციური მუხტისა და რაციონალიზმის იდეალურ შერწყმას, მაგრამ ჩვენ ეს შევძელით - ძალადობრივი რეჟიმი ისე უმტკივნეულოდ, უსისხლოდ მოვიშორეთ თავიდან, რომ თვითონაც ბოლომდე არ იჯერებდნენ მომხდარს. ამ დღეს ხელმეორედ დაიბადა 9 აპრილის სულისკვეთება და უკვე მეშვიდე წელია, ქვეყანას მართავს რაციონალიზმზე დაფუძნებული პოლიტიკა, რომელმაც უწყვეტი საგარეო და სამოქალაქო მშვიდობა მოიტანა, რაც უპრეცედენტოა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში.

მაგრამ მაინც მივიღეთ პარადოქსული ვითარება: როგორც წესი, ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში ეკონომიკურ განვითარებას თან სდევს დემოკრატიის პროგრამა და ადამიანის უფლებების სტანდარტის ზრდა. **ჩვენს ქვეყანაში, იმის გამო, რომ პირველი ოქტომბრის არჩევნების შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ უზრუნველყო დემოკრატიის მაღალი სტანდარტი და პოლიტიკური უფლებების სფეროში თამასა ევროპულ სიმაღლემდე ასწია, ჩვენი ეკონომიკური მოცემულობა ობიექტურად ჩამორჩა ამ სტანდარტს. სწორედ ამას იყენებენ ქაოსის მსურველი ძალები, სარგებლობენ რა ჩვენს მიერ დამკვიდრებული დემოკრატიული ინსტრუმენტებით და ეკონომიკურ პრობლემებზე სპეკულირებით კვლავ ფიქრობენ რევანშზე, ცდილობენ დაგვაბრუნონ 90-იანი წლების სიბნელეში და დღესაც, მათი მთავარი დასაყრდენი კვლავ რაციონალიზმზე გამარჯვებული ემოციებია.** მიუხედავად იმისა, რომ „ოცნების“ ხელისუფლებამ ამ ექვსი წლის მანძილზე რეგიონალური თუ გლობალური პოლიტიკურ-ეკონომიკური გამოწვევების ფონზე, რეალური შესაძლებლობის თითქმის მაქსიმუმი გააკეთა და ეროვნული ეკონომიკის უკლებლივ ყველა სფეროში თვალსაჩინო პროგრესი აჩვენა, სწორედ „ოცნების“ ხელისუფლებას უყენებენ პრეტენზიას იმ სოციალურ-ეკონომიკური კოლაფსისთვის, რომელშიც ქვეყანა **დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აღმოჩნდა. ნიშანდობლივია, რომ ყველაზე ხმამაღლა იმ ხალხის პრეტენზია ისმის, ვინც იმ წლების განმავლობაში ყველაფერი გააკეთა, რომ ეს კოლაფსი დამდგარიყო.**

ქვეყნის სტაბილურ წინსვლას რეალისტური და მკაფიო ამოცანები, მოთმინება და თანმიმდევრულობა სჭირდება. წინსვლა არ არის მყისიერი პროცესი. ის ითხოვს ხანგრძლივ სამოქალაქო მშვიდობას, რომელიც არ მიიღწევა ბარიკადების პირობებში. ამისთვის აუცილებელია ერთსულოვნება. სწორედ ის მდგომარეობა, რომელშიც ჩვენ ვიყავით 1989 წლის 9 აპრილს, როდესაც არავინ კითხულობდა, თუ ვინ სად იდგა მანამდე, როცა ამპარტავნება და ეგოიზმი ვერ ერეოდა საერთო საქმეს, როცა საკუთარი თავი კი არ მოსწონდათ ეროვნულ მოძრაობაში, არამედ პირიქით, ეროვნული მოძრაობა - საკუთარ თავში.

პოლიტიკა არის შესაძლებლის ხელოვნება, ანუ მხოლოდ ის, რაც რეალურად მიღწევად მიზანს ემსახურება, ხოლო ხალხისთვის პოლიტიკად შესაღება იმისა, რაც შესაძლებლის მიღმა დგას - უბრალოდ მავნებლობაა, რადგან არარეალური მიზნები ქმნიან ცრუ მოლოდინებს, მათი მიუღწევლობა კი შობს იმედგაცრუებას და ნიჰილიზმს და ძალიან სწრაფად იწვევს ეროვნული ენერგიის სრულ გამოფიტვას. გამოცდილება გვასწავლის, რომ ასეთი სულსწრაფი მცდელობები, წინსვლის და განვითარების ნაცვლად უკუსვლას იწვევს, რასაც, როგორც წესი, შედეგად ქაოსი და დესტაბილიზაცია მოჰყვება ხოლმე.

მიუხედავად ჩვენი პოლიტიკური წარსულისა, დღეს მოქალაქეები ისევ ერთი მიზნისთვის უნდა გაერთიანდეთ.

ეს არ ნიშნავს მეხსიერების წაშლას, არ ნიშნავს იმას, რომ ვინმეს მიეტევოს ჩადენილი დანაშაული, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ „ეშმაკი ყოფს“ და განხეთქილებისკენ გვიბიძგებს! უნდა დასრულდეს პრინციპულობის ლოზუნგით საზოგადოების გახლეჩვა, ითითის გაშვერა, ერთმანეთის დამუნათება და პოლიტიკური წარსულის მუდმივი შეხსენება. ყველგან, სადაც იქნება ემოციების გამარჯვება საღ აზრზე, განზე გადგომა და თანამოაზრეებთან დაპირისპირება, იქ იქნება ქაოსის ძალების დასაყრდენი, იქ იქნება 9 აპრილის იდეალების ღალატი.

წარსულში მიბრუნება დღეს სრულიად წარმოუდგენელია. წინ მხოლოდ რაციონალური პოლიტიკის, განვითარებისა და დემოკრატიის გზაა. ქართული სახელმწიფოს წინსვლის შეუქცევადობა მხოლოდ საერთო მიზნისთვის მთელი საზოგადოების დარაზმულობაზეა დამყარებული.

9 აპრილი მუდმივად გვახსენებს ამას!“, - ნათქვამია ბიძინა ივანიშვილის წერილში.

ვაფასებთ წარსულს

რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდება „სამშობლო ახლა სხვაგვარად მტკივა!“

9 აპრილმა ფიქრები ამიშალა, წარსულში გადამაგდო, მახეტიალა და ხან სიამე მომგვარა, ხან სევდა შემომყარა. სამი ათეული წლის წინანდელი მოგონებები ცხად სურათებად დამიდგა თვალწინ.

• **1989 წლის 8 აპრილი** – მე, ჩემი მეუღლე გოგი პოპიაშვილი, ჩემი მეათეკლასელი ვაჟი ზურაბი და დედაჩემი ბაბულია, აეროპორტში ჩემს 13 წლის ქალიშვილს, მაგდას ველოდებოდით, რომელიც მთელი თვით ყირიმში, მოწინავე მოსწავლეებისათვის საერთაშორისო პიონერულ ბანაკ „არტეკში“ ისვენებდა. ამ პერიოდში თბილისში უკვე გაცხოველებულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. პარლამენტის წინ ინტენსიურად იმართება მიტინგები. მაგდა ჩამოფრინდა და პირველი, რაც იკითხა, იყო: დედა, ხომ წავალთ თბილისში? ეს კითხვაზე მეტი იყო, ეს იყო დაუოკებელი სურვილი. მისი ანთებული თვალები ვედრებით შემომყურებდა. ჩვენ ისედაც გვქონდა გადაწყვეტილი, ჩვენი თვალით გვენახა, რა ხდებოდა დედაქალაქში და, რა თქმა უნდა, გეზი რუსთაველის გამზირისკენ ავიღეთ. ჯერ მთაწმინდაზე მცხოვრებ ჩემს დეიდაშვილს ვესტუმრეთ. ეს იყო ოჯახი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა აქციებსა თუ ეროვნულ-განმათავისუფლებელ სხვა აქტივობებში. ვისადილეთ, ცოტა ხანს დავისვენეთ და... აი, ჩვენ რუსთაველზე ვართ. მთელი ქუჩა და გამორჩეულად პარლამენტის ტერიტორია, ხალხითაა გადაჭედილი, ძირითადად ახალგაზრდები სჭარბობენ, მათ ხელში უჭირავთ ტრანსპარანტები, რომელზეც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის თავდადებული ადამიანების პორტრეტებია გამოსახული, საბჭოთა საქართველოს დროშების ნაცვლად სამფეროვანი ქართული დროშები ფრიალებენ, მიძინებული და ახლადგამოღვიძებული ქართული სული ყივის თითოეულ მათგანში. დედა, ნახე, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ზვიადი, მერაბ კოსტავა, უხარიათ ჩემს შვილებს ტრანსპარანტებზე ამოცნობილი სურათების ხილვა. ჩვენ ცენტრისკენ მივიწევთ, იქითკენ, სადაც მიკროფონებია დამონტაჟებული, საიდანაც მომხსენებლები პატრიოტული გზნებით განმსჭვალულ სიტყვებს წარმოთქვამდნენ, ისმოდა პატრიოტული ლექსები და სიმღერები. წუთი-წუთს ისე მისდევდა, დრო ისე შეუმჩნევლად გადიოდა, ვერც ვგრძნობდით, ხალხში აღტკინება უფრო და უფრო მატულობდა. გამორჩეული რეაგირება მოსდევდა ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას გამოჩენას.

აღტკინებასთან ერთად რაღაც გაურკვეველი მოლოდინის გრძმობაც გაჩნდა, განსაცდელის მოახლოების გაუცნობიერებელი წინათგრძნობა. აქა-იქ ჩურჩულებდნენ, რომ ქალაქი გაივსო ტანკებით და ჯარისკაცებით, რომ განსაცდელი კარზე იყო მომდგარი, მაგრამ დაშლას არავინ აპირებდა... მიუხედავად დიდი ინტერესისა და იქ ყოფნის სურვილისა, ნამგზავრი ბავშვები დაიღალენენ. გადავწყვიტეთ, დედოფლისწყაროში დაბრუნებულიყავით. ღამის 2 საათი დაიწყო. ჩვენ წამოვედით და იქ დარჩა ჩვენი სული და გული. მთაწმინდიდან, სადაც ჩვენი მანქანა იყო გაჩერებული, კახეთის გზატკეცილისკენ გასასვლელი გზა ვერსად ვნახეთ - ქუჩები სავსე იყო ტანკებით, ჯავშანტრანსპორტიორებით, ნიღბიანი ჯარისკაცებით...ქუჩები გადაკეტილი იყო... თითქმის მცხეთამდე ჩავედით, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე რომ გადავსულიყავით და სახლისკენ მიმავალ გზას დავდგომოდით. საბედნიეროდ, მარცხენა სანაპირო თავისუფალი იყო. ამასობაში ღამის 2 საათი გახდა. ოთხი საათისთვის სახლში ვიყავით. ემოციებით დაღლილებმა დავიძინეთ და, როცა დილით ტელევიზორმა საშინელი დარბევის შესახებ გადმოსცა, მე და ჩემს შვილებს ტირილი აგვივარდა. ვერ ვიჯერებდით იმ ამაღლებული განწყობის ასეთ დასასრულს. და მაშინ მაგდამ თქვა: „ნეტავ, მეც იქ მოვმკვდარიყავ!“... ახლაც, ოცდაათი წლის შემდეგ ისევ ცრემლი მადგება, ისევ ორი გრძნობა, სიხარულისა და ტკივილისა, ერთდროულად მეუფლება, რადგან ეს არის უდანაშაულო ხალხის სისხლით მოპოვებული პირველი გამარჯვება თავისუფლებისკენ მიმავალ გზაზე. წელსაც 9 აპრილს, დილით, მაგდამ დამირეკა, ისევ ტიროდა, - „წუხელის 4 საათზე, როგორც ყოველთვის, რუსთაველზე ვიყავი, მადლობა, დედა, იმ დღეს იქ რომ წამიყვანე!“

• **მერაბ კოსტავა ახალი გარდაცვლილი იყო.** მე და მაგდა თბილისში მოსწავლეთა სამეცნიერო კონფერენციაზე ვიყავით. გადავწყვიტეთ, მთაწმინდაზე, პანთეონში ავსულიყავით, მერაბის საფლავზე ყვავილები მიგვეტანა და სანთლები დაგვენთო. ჩვენი მანქანა პირველივე მოსახვევში პოლიციამ გააჩერა და ფეხით ავუყევით აღმართს. ჩვეულებრივზე ბევრი ხალხი დაგვხვდა პანთეონში. მოვინახულეთ მერაბ კოსტავას საფლავი, შემდეგ სხვა დიდმოღვაწეთა საფლავებსაც მივაგეთ პატივი და რადგან რაიონში დაბრუნებას ვაპირებდით, წამოსვლა გადავწყვიტეთ. ამ დროს მოვიდა მანქანა, საიდანაც ზვიად გამსახურდია გადმოვიდა ოთხ თანმხლებ ახალგაზრდასთან ერთად. ხალხში ჩოჩქოლი ატყდა: - ზვიადი, ზვიადი მოვიდაო. ხალხი ორად გაიყო და „კორიდორში“ ზვიადმა გეზი მერაბის საფლავისკენ აიღო, სანთელი დაანთო და შემდეგ ეკლესიაში შევიდა. ჩვენც, ხალხთან ერთად, უკან დავყვებოდით და გვიხაროდა, რომ კიდევ ერთხელ მოგვეცა საშუალება პირადად შეეხვედროდით ჩვენი დროის ერთ-ერთ პირველთაგან პატრიოტ ადამიანს. ის კი დადიოდა „კონსასეული“ მედიდურობით და სიამაყით.

• **1991 წლის 9 აპრილს** (მაშინ ეს თარიღი უქმე დღე არ იყო), სამსახურის საქმეზე თბილისში გახლდით. იმ დღეს უნდა გამოცხადებულიყო უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება საქართველოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. პარლამენტის წინ ტევა არ იყო, იმდენ ხალხს მოეყარა თავი, როგორ იტყვიან, ნემსი არ ჩავარდებოდა. მინდოდა, ამ დიდებული წამის მომსწრე მეც ვყოფილიყავი და ხალხს შევერიე. ბევრი მიწევ-მოწევის და გაძრომ-გამოძრომის შემდეგ, როგორც იქნა, წინა რიგებამდე მივაღწიე. ხანდახან აქა-იქ გაისმოდა „შავლეგოსა“ და „ჩემო კარგო ქვეყანავის“ შემოძახილი. ლოდინი დიდხანას გაგრძელდა. დროდადრო სვეტებს მიღმა, ფანჯარაში ზვიადი გამოჩნდებოდა, ხელის აწევით ხალხს მიესალმებოდა და ისევ სიღრმეში გაუჩინარდებოდა. აი, მაშინ ხდებოდა გაუსაძლისი ყოფნა, რადგან აჟიტირებული ხალხი „ზვიადი, ზვიადის“ ძახილით ერთმანეთს აწყდებოდა და ზღვის ტალღებივით ღელავდა. და აი, დადგა ეს წუთიც, გამოცხადდა, რომ დამოუკიდებლობის აქტს მაშინდელმა უზენაესი საბჭოს წევრებმა ერთხმად მისცეს ხმა და ხელმოწერით გაამყარეს მისი ისტორიული მნიშვნელობა. მაშინ კი ერთხმად იხუვლა ხალხმა, ზოგი „ვაშას“ გაიძახოდა, ზოგი „საქართველოს“ და „თავისუფლებას“ სკანდირებდა, ზოგი კვლავ „შავლეგოს“ და მაშინ საქართველოს ჰიმნად აღქმულ „ჩემო კარგო ქვეყანას“ მღეროდა. კარგა ხანს გაგრძელდა ეს აღტკინებული მხიარულება. დღეს კი, დღეს, როცა ამ საკითხზე ვფიქრობ, ბედნიერი ვარ, რომ თავისუფლების აქტს ჩემთვის საყვარელი და ძვირფასი სამი ადამიანი აწერს ხელს: - ჩემი სიძე ირაკლი მელაშვილი, ჩემი ბავშვობის მეგობრები დალი ფიროსმანაშვილი და აწ გარდაცვლილი პროფესორი ავთანდილ პოპიაშვილი, – მაშინდელი უზენაესი საბჭოს წევრები.

• **1990 წელი, 9 აპრილი,** ქალაქ დედოფლისწყაროს ერთ-ერთ ცენტრალურ და ხალხმრავალ ადგილზე, ბარათაშვილისა და რუსთაველის ქუჩების კვეთაზე, ავტოსადგურის წინ მდებარე პატარა სკვერში, 9 აპრილს დაღუპული 21 მამულიშვილის სახელზე დაიდგა მწუხარების გამომსახველი ძეგლი სახელწოდებით: „ჯვარცმული საქართველო“, რომლის ავტორებიც გახლდათ მოქანდაკეები ჟომარ კილაძე და თემურ კიკნაძე, ხოლო არქიტექტორი, ჩვენი თანამემამულე ვალერი მჭედლიშვილი. იმ დღეს მათი გარდაცვალებიდან ერთი წელი გავიდა. ტრაგედიიდან ორმოცი დღე, ქართული ტრადიციის მიხედვით, გლოვის ნიშნად, სხვა ახალგაზრდების მსგავსად, შავები ეცვა ჩემს ქალიშვილსაც. სწორედ მაგდა პოპიაშვილია ამ სურათზე აღბეჭდილი დაშვებული ქართული დროშით ხელში საპატიო ყარაულში დგომის დროს ძეგლის გახსნისას. ამ დღეს მთელმა რაიონმა მოიყარა თავი ამ ძეგლის გახსნაზე. არ დარჩა სოფელი, საიდანაც დელეგაციასთან ერთად რიგითი ადამიანებიც რომ არ მოსულიყვნენ. ყვავილები, სანთლები, ადამიანების სახეზე გამოხატული ტკივილი, სიხარული და სიამაყე ამშვენებდა იმ დღეს. მას შემდეგ ყოველ 9 არპილს, დედოფლისწყაროს ადგილობრივი ხელმძღვანელობა, საზოგადოებასთან ერთად, იკრიბება ამ მემორიალთან და პატივს მიაგებს თავისუფლებისთვის ბრძოლის გარიჟრაჟზე დაღუპულ 21 ადამიანს, ქედს იხრის მათ წინაშე და იხსენებს მათ თავგანწირვას. ასე იყო წელსაც 9 აპრილიდან 30 წლისთავზეც.

* * *

ძვირფასო მეგობრებო, ეს ჩემი ცხოვრების ის დღეებია, რომელიც წარუშლელი და დაუვიწყარია ჩემი მეხსიერებიდან. ეს ის დღეებია, რომელიც ცხოვლად დაჩნდა ჩემს სულს და საგზლად მოჰყვება ჩემს პატრიოტულ გრძნობას, აფაქიზებს და ჰკვებავს მას ამ გაუსაძლის წუთისოფელში, სადაც ბევრი რამ ისე არ არის, როგორც თავისუფალ, დამოუკიდებელ, ერთ სულ და ერთ ხორც შეკრულ ერს ეკადრება, მაგრამ იმედი ხომ ბოლოს კი არა, მე თუ მკითხავთ, საერთოდაც არ კვდება. მეც იმედიან განწყობაზე გემშვიდობებით, გამთლიანებულ, აყვავებულ, ბედნიერ საქართველოში შეხვედრამდე. მათ კი, ვინც თავი შესწირა ამ ბრძოლას, ვინც თავისი გულის ანთებული ნაკვერჩხალი შეუნთო იმ კოცონს, რომელსაც თავისუფლებისთვის ბრძოლა ჰქვია, მადლობა თავისუფლებისთვის!

ნაირა გორაშვილი

„რადგან ჩვენც შევტრფით თავისუფლებას“...

9 აპრილს დედოფლისწყაროელებმა 1989 წლის 9 აპრილს გარდაცვლილთა სულებს პატივი მიაგეს. სამგლოვიარო მსვლელობა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის საკათედრო ტაძრიდან დაიწყო და 9 აპრილის მემორიალთან დასრულდა, სადაც მიცვალებულთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა, მეუფე დიმიტრიმ გადაიხადა.

ღონისძიებაზე შესრულდა პატრიოტულ თემატიკაზე შექმნილი მხატვრული და მუსიკალური ნომრები. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს და ამ დღის მნიშვნელობაზე მეუფე დიმიტრი კაპანაძემ, სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი შიოლაშვილმა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ნუგზარ პაპიაშვილმა ისაუბრეს.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „9 აპრილი მაგიური დღეა საქართველოს ისტორიაში. დღე, რომელიც ორმაგ ემოციას აღძრავს ნებისმიერ ქართველში. ეს არის დიდი ტკივილის დღე, რადგან იმ ტრაგედიასთან ასოცირდება და ასევე არის დიდი სიხარულისა და სიამაყის დღე, რადგან სწორედ 1989 წლის 9 აპრილმა და იმ ახალგაზრდების თავდადებამ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს დამოუკიდებლობას. და ის, რომ დღეს, ამ თარიღიდან 30 წლისთავზე ჩვენ დამოუკიდებლები ვართ, ის, რომ ევროატლანტიკური მისწრაფებები გვაქვს და საქართველო განვითარების გზაზე დგას და ევროპულ ოჯახს უბრუნდება, სწორედ იმ გმირების, იმ შემართების დამსახურებაა, რომელიც არა მხოლოდ თბილისში, არამედ მთელ ქვეყანაში სუფევდა. მე მინდა, რომ 9 აპრილის თითოეულ მონაწილეს, იმ გმირებს მადლობა ვუთხრა თავისუფლებისთვის!“

ირაკლი შიოლაშვილი: „9 აპრილი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში გამორჩეული თარიღია, მოვლენა, რომელიც გახდა დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს საძირკველი. მე ყოველთვის ვამბობ, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. 9 აპრილს შეწირული ადამიანების ბრძოლას და მათ მიერ დაღვრილ სისხლს უკვალოდ არ ჩაუვლია. ამისი დასტურია დღევანდელი დღე, დღევანდელი საქართველო. და დღეს ჩვენ ამაყად დავდივართ ჩვენს მიწა-წყალზე, ვცხოვრობთ ქვეყანაში, რომელიც უბრუნდება ევროპულ ოჯახს, საითკენაც მუდმივად მიისწრაფვოდა.

რამდენიმე წუთის წინ აქ იმღერეს პატარა ბავშვებმა პარტიოტულ თემაზე. მეც ამავე ასაკის ვიყავი მაშინ, 1989 წლის 9 აპრილს, სულ რაღაც 6 წლის. იმ წელს პირველ კლასში შევედით მე და ჩემი თანაკლასელები. მახსოვს, პირველივე დღეს, ჩვენმა პირველმა მასწავლებელმა და სკოლის დირექციამ როგორ წამოგვიყვანა ამ ადგილას და როგორ მივაგეთ პატივი გარდაცვლილთა სულებს. აუცილებელია, მომავალმა თაობამ იცოდეს ამ დღის მნიშვნელობა, იცოდეს და გააცნობიეროს, ვისი დამსახურებაა საქართველოს დამოუკიდებლობა. მინდა, მადლობა გითხრათ თითოეულ თქვენგანს, მათ, ვინც შვილებით მოხვედით და თითო სანთელი დაანთეთ 9 აპრილის გმირების ხსოვნის უკვდავსაყოფად“.

ნუგზარ პაპიაშვილი: „მე იმ თაობის ადამიანი ვარ, რომელიც 9 აპრილის თვითმხილველი და თვითმომსწრე ვარ. მიახლდება ის წუთები, ის შეგრძნება, რაც მაშინ ნებისმიერ ქართველს ჰქონდა, რომელიც გინდაც იმ დღით, გინდაც მეორე დღით, შეურაცხყოფილ ჩვენს დედაქალაქს დაინახავდა, სადაც სისხლისა და ტანსაცმლის ნაგლეჯები ეყარა. ეს სისხლი ალბათ აუცილებელი იყო იმისთვის, რომ ორი წლის შემდეგ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოცხადებულიყო. მათ სისხლს უკვალოდ რომ არ ჩაუვლია, ამას დღეს ჩვენი აქ შეკრებაც ცხადყოფს. დიდი მადლობა ყველას, ვინც 30 წლის შემდეგაც გაითავისეთ ის ტკივილი, რაც მაშინ ჩვენს ერს და ქვეყანას სჭირდა და აქ მობრძანდით.“

მეუფე დიმიტრი: „ მოგილოცავთ დღევანდელ დღეს. დღეს არის დღესასწაული ტკივილთან შეზავებული. 90-იანი წლების დასაწყისში, ფაქტიურად, ნგრევის პირას მისული საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკისთვის სხვადასხვა სიმძიმით იყო დამოუკიდებლობის მოპოვება. ზოგიერთმა რესპუბლიკამ უფრო იოლად და უმტკივნეულოდ დააღწია თავი ამ იმპერიას, მაგრამ ჩვენ, ქართველები სწორედ იმით ვართ გამორჩეულნი, რომ სამხრეთის შვილები ვართ, მზის შვილები და ცხელი გულის მქონენი. ამიტომ ჩვენს გასაკეთებელს ჩვენ ვაკეთებთ და სხვის იმედზე არა ვართ. ზუსტად ამის დასტური იყო 9 აპრილი და ის დიდი ტრაგედია, რომელმაც 21 ახალგაზრდის გარდაცვალება გამოიწვია. საქართველოს ერთიანობის არა, მაგრამ ქართველთა ერთიანობის დადასტურებაა ის ფაქტი, რომ დღეს, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, კახის რაიონში გრანდიოზული ღონისძიება ტარდება 9 აპრილის მსხვერპლთა ხსოვნის პატივსაცემად. მინდა, ჩვენს ახალგაზრდებს კიდევ ერთხელ მოვუწოდო, რომ მათი ცხოვრების მაგალითი ყოფილიყოს სამშობლოს თავისუფლებას ზვარაკად შეწირული ადამიანების სიცოცხლე. ღმერთმა დაგლოცოთ, გაგაძლიეროთ და ესეთი ტკივილი და განსაცდელი აარიდოს ჩვენს ქვეყანას“.

30 წლის შემდეგ კვლავ აქტუალურია საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი. ჩვენს ქვეყანას მუდმივად უხდება თავდაცვის პოზაში ყოფნა, რადგან საბჭოთა იმპერია კი დაიმსხვრა, მაგრამ მისი სამართალმემკვიდრე რუსეთი კვლავ ცდილობს, ჯავრი იყაროს ქართველ ხალხზე იმ დაუმორჩილებლობისათვის, რის გამოც 9 აპრილს სასაკლაო მოუწყო თავისუფლების წყურვილით აღტკინებულ ერს, მაგრამ ვერ დააჩოქა, ვერ შეაშინა და საკუთარ განზრახვაზე ხელი ვერ ააღებინა. წელს გამორჩეულად ბევრმა ადამიანმა მიაგო პატივი 9 აპრილის გმირებს. სასიამოვნო იყო ამდენი ხალხის ხილვა 9 აპრილის მემორიალთან, განსაკუთრებით კი ბავშვების, რომლებიც ჩვენი უახლესი ისტორიის გმირების მაგალითებზე უნდა იზრდებოდნენ.

ინგა შიოლაშვილი

* * *

დედოფლისწყაროს მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში 9 აპრილის 30 წლის თავისადმი მიძღვნილი ღონისძიება ,,მადლობა თავისუფლებისთვის“ გაიმართა. შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებაში მინაწილეობა დედოფლისწყაროს ახალგაზრდებმა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა მიიღეს. საზოგადოებას სიტყვით მიმართეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თამარ თამაზაშვილმა, კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა ილია მარტყოფლიშვილმა, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ეთერ დავითაშვილმა და ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა მანანა მაჭარაშვილმა. გამომსვლელებმა საქართველოს უახლეს ისტორიაში 1989 წლის 9 აპრილის მნიშვნელობასა და ამ დღეს სამშობლოსათვის შეწირულ გმირებზე ისაუბრეს, უმცროსმა თაობამ კი 9 აპრილისადმი მიძღვნილი მხატვრული ნაწარმოებებები შეასრულა.

* * *

ისტორიულ ჰერეთში მცხოვრებმა ქართველებმა 9 აპრილი აღნიშნეს კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოში. მოქალაქეებმა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის შეწირული გმირების ხსოვნას პატივი მიაგეს. ცერემონია ტრადიციულად 9 აპრილის მემორიალთან გაიმართა. ქართველ მამულიშვილთა სულების მოსახსენიებლად პანაშვიდი გადაიხადა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის მღვდელმსახურმა, კახის წმინდა გიორგის ტაძრის წინამძღოლმა დეკანოზმა პეტრე ხუმარაშვილმა. ცერემონიას ესწრებოდნენ და მემორიალი გვირგვინით შეამკეს ქ. განჯაში საქართველოს გენერალურმა კონსულმა მამუკა ბალავაძემ და საელჩოს თანამშრომლებმა.

9 აპრილის მნიშვნელობაზე საქართველოს ისტორიაში ამ დღის როლზე ისაუბრეს ადგილობრივმა ქართველებმა. ისინი მემორიალთან ყოველწლიურად იკრიბებიან. ხაზგასმით აღინიშნა, რომ 1989 წელს რუსეთის სისასტიკე ერთდროულად იგემა აზერბაიჯანმაც და საქართველომაც. იანვარში რუსულმა არმიამ ბაქოში ასობით ადამიანი დახოცა, ხოლო აპრილში შედარებით მცირე მასშტაბებით ეს პროცესები თბილისშიც განმეორდა. 2009 წლიდან ჰერეთის სამრევლო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს შეუერთდა და ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქია ეწოდა. ჰერეთში ცალკე ეპარქიის დადგენაც იგეგმებოდა, მაგრამ ვერ მოხერხდა.

წყალი ჩვენი არსებისა!..

წყალი გრაფიკით და „წყევლა-კრულვიანი“ საკითხავი...

გაზაფხული მოვიდა და სითბოსთან ერთად დედოფლისწყაროელებს წყალზე გრაფიკმაც შეახსენა თავი. წყალმომარაგების 24-საათიან რეჟიმს მიჩვეული მოსახლეობისთვის ერთი დღით უწყლოდ დარჩენა კატასტროფის ტოლფასი აღმოჩნდა. ხალხის განწყობა განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა სოციალურ სივრცეში. მოსახლეობის ნეგატიურ დამოკიდებულებას იმ ფაქტორმაც შეუწყო ხელი, რომ აბონენტებს გრაფიკის შემოლებასთან დაკავშირებით ინფორმაციაც არ ჰქონდათ. მათ ისევ ერთმანეთისგან შეიტყეს, რომ წყალზე გრაფიკი ამოქმედდა. ამის გარკვევაში სოციალური ქსელი დაეხმარა. ამიტომაც გახდა წყლის საკითხი ვირტუალურ სივრცეში „წყევლა-კრულვიანი“ საკითხავი. **„ჯერ ხომ ზაფხული არ მოსულა, რა დროს გრაფიკის დაწესებაა?“ „დღეგამოშვებით დაგეცეთ მეხი!“ „გამოდის, რომ ზაფხულში გაცილებით ცუდი ვითარება იქნება და სულ უწყლოდ დავრჩებით“**– ესენი ის ფრაზებია, რომელიც არაერთმა ადამიანმა ვირტუალურ სივრცეში იხილა.

„ჩვენ ზაფხულს შიშით ველოდით, მაგრამ უწყლოობამ გაზაფხულზე უკვე შეგვახსენა თავი, რა გვეშველება?- ჩიოდნენ დედოფლისწყაროელები სოციალურ ქსელში და არა მარტო იქ...

„მე არ ვიცოდი, რომ მეორე დღეს წყალი არ მექნებოდა. ამიტომ მარაგის აღებაზე არც მიფიქრია. მეორე დღეს მეზობელს

გამოვართვი სასმელი წყალი. რომ მცოდნოდა, გრაფიკი შემოიღეს, წყლის რეზერვს ავიღებდი და გაურკვეველ ვითარებაში არ აღმოვჩნდებოდი“-ამბობს ქალბატონი იზო. მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდა უამრავი ადამიანი დედოფლისწყაროში.

განსაკუთრებით მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ მრავალსართულიანი კორპუსის მაცხოვრებლები. ***„გვეგონა, 21-ე საუკუნეში წყალმომარაგების საკითხი მოგვარდებოდა, მაგრამ შევცდით. წყალმომარაგების სისტემის გაყვანამ ყველა გაგვახარა, მაგრამ ამ ფაქტმა მოსახლეობა ბუნებრივი წყაროების გარეშე დატოვა. წყლის მარაგის გარეშე დარჩენილი იმ დღეს წავიდოდი ერთ-ერთ წყაროზე და წყალს ისე მოვიტანდი, მაგრამ ამისი საშუალებაც აღარ არსებობს. ამიტომ წავედი და სასმელი წყალი მაღაზიაში ვიყიდე, თუმცა, ტექნიკური მოხმარებისთვის მას ხომ ვერ გამოვიყენებდი!“***-ამბობს გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ბატონი ავთო.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, გრაფიკის დაწესების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირება გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის „ცხელი ხაზის“ ვალდებულება ყოფილა, რომელმაც დაკისრებულ მოვალეობას „თავი ვერ გაართვა“ და მომხმარებელი წყლისა და ინფორმაციის გარეშე დატოვა.

ნაადრევი გრაფიკის დაწესებამ წყალზე, მოსახლეობას მოლოდინი შეუქმნა, რომ ზაფხული გამორჩეულად მძიმე ელოდება: **„ამშობენ, 1 მაისიდან წყალი 3 დღეში ერთხელ იქნებაო“**- ეს წყალმომარაგების ახალ გრაფიკთან დაკავშირებით მოსახლეობაში გავრცელებული პროგნოზია... ჩვენ ამ ინფორმაციის გადამოწმება საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის სერვის ცენტრის მენეჯერთან ვცადეთ. ნოდარ ფიროსმანაშვილმა მოსახლეობაში გავრცელებულ აზრს აბსურდული უწოდა და განაცხადა, რომ ის რეალობას მკვეთრად აცდენილია. **„მოგეხსენებათ, ზამთარი უნალექო იყო. ამიტომ წყლის დებეტმა საგრძნობლად დაიკლო. იძულებულები გავხდით, წყალზე გრაფიკი აგვემოქმედებინა. ჯერჯერობით მოქმედი გრაფიკი შენარჩუნდება, ანუ, ქალაქ დედოფლისწყაროსა და სოფლებს: ხორნაბუჯსა და სამრეკლოს წყალი მიეწოდება დღეგამოშვებით, დილის 7 საათიდან საღამოს 9 საათამდე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი წყლის დებეტი გაიზრდება, მოსახლეობა წყალს კვლავ 24 სააათიან რეჟიმში მიიღებს“**- აცხადებს ნოდარ ფიროსმანაშვილი.

წყალი, რომელიც ჩვენი არსებობის განუყოფელი ნაწილია, დეფიციტად ქცეულა 21-ე საუკუნეშიც. თანამედროვე საზოგადოებისთვისაც და შესაბამისი უწყებებისთვისაც კვლავ გამოწვევად რჩება წყალმომარაგების საკითხის მოგვარება წყლის რესურსებით ისეთ მდიდარ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა.

ინგა შიოლაშვილი

„სპექტრი“ მუდმივად სიახლეების პირისპირ...

ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან არაერთხელ მიგვიწვდია მკითხველისთვის ინფორმაცია დედოფლისწყაროს ცენტრში, რუსთაველის ქუჩის N55-ში, შპს სასწავლო ცენტრ „სპექტრის“ საქმიანობის თაობაზე, რომელიც უკვე მეცხრე წელია, ფუნქციონირებს და დაარსებიდანვე გამოირჩეოდა წარმატებული მრავალმხრივი საგანმანათლებლო საქმიანობით. ამჟამად იგი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სარესურსო-სასწავლო ახალგაზრდული დაწესებულებაა, სადაც ხორციელდება შემდეგი აქტივობები: მიმდინარეობს უცხო ენების და საოფისე კომპიუტერული პროგრამების სწავლება უახლესი ტექნოლოგიებით; აბიტურიენტთა მომზადება ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის; ტარდება სკაიპჩართვები კავკასიური სახლიდან, ლექციები, იმართება ტრენინგები, საინფორმაციო შეხვედრები ადგილობრივი ტურისტული პოტენციალის, ბიომრავალფეროვნების და სხვა პრიორიტეტების გასაცნობად; ეწყობა ექსკურსიები და ლაშქრობები. აღსანიშნავია „სპექტრის“ განსაკუთრებული ურთიერთობა საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებთან, სადაც დედოფლისწყაროელი ახალგაზრდობა წარმატებით ირიცხება. „სპექტრელობა“ დედოფლისწყაროელი ახალგაზრდებისთვის მომავალი წარმატების ფორმულაა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

8-9 აპრილს „სპექტრის“ მსმენელთათვის გაიმართა ტრენინგი სახელწოდებით: „როგორ გავაკეთოთ ეფექტური პრეზენტაცია და დავგეგმოთ გამოსვლა“. ტრენინგი მიზნად ისახავდა მომავალი სტუდენტებისთვის თანამედროვე თეორიებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაცნობას.

ტრენერებმა ბექა ბეროშვილმა და ქეთი დევნოზაშვილმა ინტერაქციით და სავარჯიშოების გამოყენებით ახალგაზრდებს მისცეს მნიშვნელოვანი რჩევები, მათ შორის:

• როგორ ავაწყოთ სპეციალურ პროგრამაში პრეზენტაცია და რა ნიუანსები უნდა გავითვალისწინოთ ეფექტურად წარმოჩენისთვის. • რეკომენდაციები სტრუქტურის ფორმირებისთვის. • რჩევები აუდიტორიის შეკითხვებზე პასუხისათვის. • ყველაზე გავრცელებული შეცდომები, რომელსაც უშვებენ პრეზენტატორები. • როგორ დავძლიოთ საჯაროდ გამოსვლის შიში. • ათი მნიშვნელოვანი ნიუანსი, რომელიც განსაზღვრავს პრეზენტაციის ეფექტურობას. • აუდიტორიის მომზადების მნიშვნელობა პრეზენტაციის დაგეგმვის პროცესში. • რა ქმედებების განხორციელება მოუწევს გამომსვლელს ყურადღების კონცენტრაციისთვის. • სხეულის ენის მნიშვნელობა საჯაროდ გამოსვლის დროს.

ოცდახუთივე მსმენელი აქტიურად მონაწილეობდა ტრენინგის მიმდინარეობაში. თითოეულ მათგანს გადაეცა სერთიფიკატი.

ტრენინგის დასრულების შემდეგ გავესაუბრეთ „სპექტრელ“ აბიტურიენტებს და წარჩინებულ მოსწავლეებს, რათა მოგვესმინა, რა ცოდნა და ინფორმაცია შესძინა მათ ამ ორმა დღემ.

ნათია პაპუაშვილი, აბიტურიენტი-ეს ტრენინგები დროული და მრავლისმომცველი იყო ჩვენთვის, მომავალი სტუდენტებისთვის. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაკეთდეს საინტერესო და ეფექტური პრეზენტაცია, ამ ტრენინგების საშუალებით მივიღე. მადლობა სასწავლო ცენტრს ამისთვის.

გიორგი ტალიაშვილი, წარჩინებული მოსწავლე-ყველაზე შთამბეჭდავი და სრულყოფილი სწავლება იყო, რაც კი აქამდე მომისმენია. პრაქტიკული სავარჯიშოები ძალიან მომეწონა, ტრენერები დაგვიმეგობრდნენ.

მაკა ზურიკაშვილი, აბიტურიენტი-ჩემთვის ამ ტრენინგის ფორმატი უცხო, დროული და ინფორმაციული იყო. მისი ეფექტურობის გარდა, დიდი როლი ითამაშა ტრენერების უშუალო კონტაქტმა აუდიტორიასთან, რამაც მსმენელთა აქტიური ჩართულობა განაპირობა და შეხვედრა უფრო ნაყოფიერი გახადა.

ლანა ყოჩიაშვილი, აბიტურიენტი (მომავალი არქიტექტორი) – მე ამ ტრენინგით მივიღე საჭირო ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ მოვახდინო მომავალში საკუთარი ნამუშევრის სრულყოფილად მიწოდება საზოგადოებისთვის. ტრენინგი გაჯერებული იყო თანამედროვე თეორიითა და პრაქტიკული სავარჯიშოებით, რამაც აუდიტორიის მოწონება დაიმსახურა.

ანა ჩითინაშვილი, აბიტურიენტი-ორდღიანი ტრენინგი პრეზენტაციის მომზადებისა და ეფექტური საჯარო გამოსვლის შესახებ, ჩემი აზრით, საჭირო და დროული იყო „სპექტრის“ წარმატებული აბიტურიენტებისათვის. თეორიული მასალა გაჯერებული იყო პრაქტიკული სავარჯიშოებით, რამაც ტრენინგი საინტერესო გახადა და დროც შეუმჩნევლად გავიდა. მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ, საკუთარი ცოდნა და უნარ-ჩვევები გამოევლინათ შეხვედრის მიმდინარეობისას. დიდი მადლობა „სპექტრს“ ასეთი ნაყოფიერი ორი დღისთვის.

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

„ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ“...

1978 წლის 14 აპრილს, რუსთაველის გამზირზე გამოსული რამდენიმე ათეული ათასი ადამიანი წინ აღუდგა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის ნებას და არ დაუშვა საბჭოთა კონსტიტუციის 78-ე მუხლში შეტანილი იმ ცვლილების დამტკიცება, რომლის მიხედვითაც, ქართული ენა სახელმწიფო ენის სტატუსს კარგავდა. 14 აპრილი იყო საბჭოთა კავშირში პირველი მშვიდობიანი დემონსტრაცია, რომელსაც მნიშვნელოვანი დადებითი შედეგი მოჰყვა.

დიახ, ძნელია იმ ენის მოსპობა, რომელსაც აქვს მრავალსაუკუნოვანი ისტორია, რომელმაც გაუძლო სასანიდურ ირანს, გაუძლო დიდ თურქობას, გაუძლო მონღოლებს, შეუძლებელია ამ სიძველისა და ამ განვითარების ენის ამოთხრა, თუმცა, საბჭოთა კავშირის მესვეურებმა მისი ამოძირკვა მაინც სცადეს, საბედნიეროდ, უშედეგოდ. ჩემი აზრით, 14 აპრილის კვალიფიცირება კრემლის მიერ მეორე წელსვე „დედაენის დღედ“, პირველ რიგში, ისტორიული რეალობის იგნორირება იყო, რადგანაც 41 წლის წინ 14 აპრილს მოწინავე ქართველებმა დაიცვეს საქართველოს სახელმწიფო ენის სტატუსი და მგონია, რომ მიზანმიმართულად მოხდა ამ დღის „დედაენის დღედ“ გამოცხადება, რათა წინა პლანზე არ წამოწეულიყო ამ მოვლენის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა...ასეა თუ ისე, ეს დღეს არის ჩვენი სამშობლოს დღე, ქართველობის დღე, საქართველოს დღე, იმიტომ, რომ ქართული ენა ეს არის ჩვენი სახელმწიფოებრიობის, ჩვენი იდენტობის, ჩვენი კულტურის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფუნდამენტი. რას ფიქრობენ ჩვენი ერთგული რესპოდენტები და რასთან ასოცირდება „დედაენის დღე“ მათთვის, მათი პასუხებისგან შევიტყობთ:

რუსუდან ნადირაშვილი, პედაგოგი – „დედა ენა“ პიროვნების სახეა, ხალხი ქმნის ენას და ენა ქმნის ერს, სახელმწიფო ენა ქვეყნის ღირსების საზომია’’. 14 აპრილი საქართველოში დედაენის დღედაა გამოცხადებული. ქართულ დამწერლობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ეს არის განძი, რომელსაც საფრთხე არასოდეს უნდა შეექმნას, ეს არის ის, რასაც ყველაზე მეტად სჭირდება დაცვა, გაფრთხილება და სიყვარული. ეს დღე ჩემთვის, როგორც პედაგოგისთვის, მნიშვნელოვანი თარიღია. მოსწავლეებთან ერთად აღვნიშნავთ „დედა ენის“ დღეს, ვიხსენებთ ჩვენი ერის ისტორიას, ვსაუბრობთ იაკობ გოგებაშვილის ფასდაუდებელ ღვაწლზე, რადგან „დედაენის“ გარეშე გაზრდილი ადამიანი შორდება საკუთარ ფესვებს, კულტურასა და ტრადიციებს. ეს კი ხდება მიზეზი არასრულფასოვანი მომავალი თაობისა. „დედა ენის“ არსებობა ერის არსებობას ნიშნავს, ენის სიცოცხლე - ერის სიცოცხლეს“... მეამაყება, რომ ჩვენი ერი „ცოცხალია“... ყველა ქართველისთვის საამაყოა, რომ გვაქვს ჩვენი ენა, დამწერლობა და 14 აპრილი - „დედა ენის“ დღე... ბოლო ხანს გააქტიურდა საუბარი იმასთან დაკავშირებით, რომ პირველ კლასში დაბრუნდება გოგებაშვილის „დედა ენა“, რაც, თავის მხრივ, მისასალმებელია.

თაია წიკლაური, ფილოლოგი, ემიგრანტი - ჩემთვის ამ სიტყვის დატვირთვა შორეულ წარსულში იყო განათლების მიღების საწყისი, ულამაზეს ასოთა კრებული..დრო გავიდა და მივხვდი, რომ ეს არაა მხოლოდ წიგნი, აქ ყველაფერია, ადამიანის ეროვნულობა, სიყვარული, პატრიოტიზმი(მე ასე მგონია), ესაა ერთად აღებული დედა, „დედა საქართველო,“ „დედაქალაქი“.. აქ, ამ გადმოსახედიდან ყველაზე მეტად გრძნობ შენი მშობლიური ენის ღვთაებრივ ძალას, რომელიც დაბადებიდან თანმდევია და სადაც არ უნდა იცხოვრო და რამდენ ხანსაც არ უნდა იცხოვრო მის გარეშე, ის მაინც ერთადერთია...

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

ბოშათა დღე გამოფენით აღინიშნა

8 აპრილი ბოშების საერთაშორისო დღეა. სწორედ ბოშათა დღეს მიეძღვნა ბოშა მოსწავლეების მიერ ხელგარჯილობის წრის მუშაობის დროს შექმნილი ხელნაკეთი ნამუშევრების გამოფენა, რომელიც ქალაქ დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლაში გაიმართა. კლუბს სკოლის დირექტორის მოადგილე, ხელოვნების მასწავლებელი ნათია პოპიაშვილი ხელმძღვანელობდა.

ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლა ერთადერთია, რომელიც უკვე ათი წელია ბოშა მოსწავლეთა ინტეგრაციასა და მათ განათლებაზე ზრუნავს, როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ გარემოში. ბოშები მომთაბარე ცხოვრებას ეწევიან, თუმცა ყველაზე მეტი ბოშა დედოფლისწყაროსა და ქობულეთშია კომპაქტურად ჩასახლებული. დედოფლისწყაროში მოქმედებს ასევე ბოშათა გაერთიანება „რომა“. ეს სკოლა გასული წლიდან ჩართულია პროექტში „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა“. იგი მოიცავს ინკლუზიურ გარემოში არაფორმალურ სწავლებას, სადაც ერთობლივად მუშაობენ და სწავლობენ ბოშა ბავშვები და საჯარო სკოლის მოსწავლეები. პროექტი განათლების სამინისტროს მიერ ფინანსდება. პროექტის ფარგლებში რამდენიმე თვეა სკოლაში ამოქმედდა როგორც ხელგარჯილობის წრე, ისე თეატრალური კლუბი.

ამავე სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით დედოფლისწყაროს კულტურის ცენტრთან არსებულმა ახალგაზრდულმა თეატრმა „ბერიკონი“ ცარო მარტიაშვილის ხელმძღვანელობით გასული წლის დეკემბრის ბოლოს ნოდარ დუმბაძის ნაწარმოების მიხედვით სპექტაკლის „ერთი მზის შვილები“ პრემიერა გამართა. როგორც დედოფლისწყაროს კულტურის და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორი ილია მარტყოფლიშვილი განმარტავს, სულ მალე, ამ სპექტაკლის ჩვენება სხვა სოფლებში მაცხოვრებელთათვისაც იგეგმება.

„მიუხედავად იმისა, რომ მეორე სკოლის თეატრალური კლუბის პროექტი დასრულდა და მისი ერთჯერადი დაფინანსებაც ამოიწურა, მინდა გითხრათ, რომ ბოშა ბავშვები კულტურის ცენტრთან არსებულმა ახალგაზრდულმა თეატრმა დაიტოვა და ამ მიმართულებით მუშაობას ისევ აგრძელებენ. ისინი არა მხოლოდ ბოშების თემატურ სპექტაკლებში ითამაშებენ, არამედ, სამომავლოდ, სხვა ნაწარმოებების მიხედვით დადგმულ სპექტაკლებშიც გამოჩნდებიან. ხელისუფლების მიდგომა სწორედ ისაა, რომ ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაცია მოხდეს საზოგადოებაში და ვფიქრობთ, ამ მიზანს ყველაზე მეტად თეატრი პასუხობს. შედეგებიც თვალშისაცემია. ამ ბავშვს თავიდან კომპლექსი ჰქონდათ, თუმცა როგორც თეატრის რეჟისორი ქალბატონი ცარო მარტიაშვილი ამბობს, ამჯერად უკვე ისინი საკმაოდ აქტიურები არიან და ალღო კარგად აუღეს. ასე რომ, მათში ვხედავთ სათანადო პოტენციალს, რომ „ბერიკონის“ ახალ თაობას შეუერთდნენ და კიდევ გავაგრძელოთ მათთან თანამშრომლობა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ ცაროს, რომელმაც დიდი ენერგია ჩადო ამ ბავშვებში და შედეგიც ვნახეთ,“ – აღნიშნავს ილია მარტყოფლიშვილი.

დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის დირექტორი ლალი იაკობიშვილი-ჩერქეზიშვილი „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, რომ თეატრალური კლუბის მსგავსად წარმატებული აღმოჩნდა ხელგარჯილობის კლუბიც.

„ეს ნამუშევრები რამდენიმე თვის წინ თბილისშიც გამოიფინა. განათლების სამინისტროში, „ინკლუზია,განათლების მიღების მეორე შანსი“ ფარგლებში დაფინანსებული ყველა პროექტის პრეზენტაცია იქვე მოხდა. გამოფენაზე სხვადასხვა რაიონის სკოლების პროექტი იყო წარმოდგენილი. მასწავლებელს სამინისტრომ სერტიფიკატი გადასცა. სოციალური ინკლუზია, ამ განყოფილების ხელმძღვანელია ლელა ცქიტიშვილი და პროექტის კოორდინატორი გოგიტა ვარდოსანიძე. საბოლოო ჯამში ჩვენი სკოლის პროექტი წარმატებით დასრულდა და ბედნიერი ვარ, რომ მოგვეცა მასში ჩართვის შესაძლებლობა,“ – ამბობს სკოლის დირექტორი.

ბოშათა მსოფლიო დღე უკვე 48 წელია აღინიშნება. 1971 წლის 8 აპრილს ლონდონში გამართულ ბოშების პირველ საერთაშორისო კონგრესზე 30 ქვეყნის წარმომადგენელი შეიკრიბა. ამ დღეს ბოშებმა მიიღეს ნაციონალური სიმბოლოები: დროშა და ეროვნული ჰიმნი და თავი მსოფლიოს ერთიან თავისუფალ ნაციად გამოაცხადეს.

OUT-იზმი ჩვენს ირგვლივ

OUT – ინგლისურად ნიშნავს: გარეთ

„-ესენი "ნორმალურები" არ არიან, მაგრამ სახეზე არ ეტყობათ"...

„-ჩემს შვილს არ ვატარებ ასეთ ბაღში, სადაც ისინი არიან"...

„-წაიყვანონ და სახლში ჰყავდეთ"...

თუკი სოციალურ ქსელში, საალმზრდელო დანესებულებებში, მაღაზიაში, პარკსა თუ საზოგადოებრივ ტრანსპორტში მსგავს ფრაზებს გაიგონებთ, თავიდან შეიძლება ვერ მიხვდეთ, რას შეიძლება ეხებოდეს საუბარი, მაგრამ როდესაც ბოლომდე მიჰყვებით ფრაზების შინაარსს, მიხვდებით, რომ აუტიზმია თქვენს სივრცეში შემოსული. შემდეგ დაგებადებათ კითხვა: რამ უნდა გახადოს აუტიზმი ცნობადი? რამ უნდა შეაცვლევინოს საზოგადოებას წარმოდგენა თუ დამოკიდებულება? რამ შეიძლება გაარღვიოს ინფორმაციული ვაკუუმი და აქციოს აუტიზმის სპექტრის მქონე ადამიანები საზოგადოების ნაწილად? დღევანდელი მდგომარეობის საჩვენებლად ერთი მაგალითიც საკმარისი იქნება...

მაკა შარმაზანაშვილი და მისი 8 წლის შვილი მათე, უკვე 5 წელია, აუტიზ-

მთან ერთად ცხოვრობენ. მათე სამი წლის იყო, როდესაც აუტიზმი დაუდგინდა. როგორც მაკა შარმაზანაშვილი „შირაქთან" საუბარში აღნიშნავს, მისი დღე შვილთან ერთად იწყება და შვილითვე მთავრდება. მან მათე აღიარა და მიიღო, ახლიდან გაიცნო და ძლიერად შეიყვარა. როდესაც აუტიზმთან შეხების პირველი რეაქციის გახსენება ვთხოვე, მითხრა, რომ იმდენად უცხო რამეს შეეჯახა, დღემდე ვერ აღწერს იმ მდგომარეობას, თუ რა იგრძნო და როგორ მიიღო უკვე არსებული ფაქტი. *„ბოლომდე, დღესაც არ ვიცი რა არის აუტიზმი. უფრო შემდეგ იწყებ ინფორმაციის მოძიებას, არაერთ ექიმთან სიარულს. გგონია, რომ ეს ყველაფერი დროებითია. ახლის ძიების პროცესში ხარ, ერკვევი ყველაფერში. იყო დაზაფვრის მომენტიც, რადგან ეს მშობლისთვის მარტივი არ არის. შემდეგ მიდიხარ იმ აზრამდე, რომ უნდა იბრძოლო, ხვდები, რომ ფარ-ხმალის დაყრის უფლება არ გაქვს. იღებ შენს შვილს, აღიარებ და არ ვარდები დეპრესიაში. რა თქმა უნდა, ეს არ იყო მარტივი და დღემდე ასეა. ალბათ, ადამიანი ყველაფერს ეჩვევი. ჩვენ ვცხოვრობთ მათესთან, მათეს გარშემო ვართ ყველა. თუ შენ არ აღიარებ შენ შვილს, საზოგადოება მას სულ არ მიიღებს და არ აღიარებს "* - ამბობს ის.

პირველი რეაქციების გახსენებამ, ავტომატურად ბაღთან და უკვე შემდეგ სკოლასთან შეგუების პროცესზე საუბრისკენ გვიბიძგა. როგორც აღმოჩნდა, ორივე პროცესი მაინც პრობლემებთან იყო დაკავშირებული. პრობლემები კი ისევ ინფორმაციის ნაკლებობიდან მოდიოდა, ინფორმაციული ვაკუუმიდან, რაც დღესაც არანაკლებ მწვავედ დგას ქართული საზოგადოების წინაშე. *„ზოგადად, როგორც აუტიზმის, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებსა თუ მშობლებს, მუდმივად გვაქვს პრობლემები. ჩვენც ბევრი პრობლემა გვქონდა. ადვილად და მარტივად არ ყოფილა და არ არის ყველაფერი - რაღაც გვინდოდეს და თავისით მოდიოდეს ასე არ ხდება. სულ გვიწევდა და გვიწევს ბრძოლა და მტკიცება. იკითხავთ რის მტკიცება? მტკიცება იმის, რომ ჩვენს შვილებს სჭირდებათ სოციალიზაცია. თუ საზოგადოება შეუქმნის მათ გარკვეული სახის ბარიერებს, ისინი საკუთარი თავის რეალიზებას ვერ მოახდენენ სოციუმში. ამ ბავშვებშიც არსებობს განსხვავება. ზოგი შეიძლება აგრესიულია, ზოგი პირიქით - ძალიან მშვიდი. მათე ძალიან კარგად ეგუებოდა საბავშვო ბაღს, ბავშვებთან ერთობოდა, ურთიერთობდა. მათეს ეს არ უჭირდა და, შესაბამისად, ბაღში ძალიან არ გაგვჭირვებია. სკოლაში გარკვეული პრობლემები შეგვექმნა. იმ პერიოდში დედოფლისწყაროში მაინც და მაინც არ იყო აუტიზმის მქონე ბავშვების დიდი რაოდენობა. ახალი და განსხვავებული იყო აუტიზმი სკოლაში. შესაბამისად, ინფორმაციის ნაკლებობა იყო როგორც სკოლაში, ასევე საზოგადოებაშიც."* — აღნიშნავს ის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინიციატივით, 2 აპრილი აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღეა. მაკა შარმაზანაშვილი დადებითად ეხმაურება მსგავსი დღეების არსებობას და ფიქრობს, რომ *„კარგია ასეთი დღის არსებობა, ცნობადობის ამაღლება და ყველა ის აქტივობა, რაც ამ საკითხთან დაკავშირებით ტარდება."*. იგი იმასაც აღნიშნავს, რომ მშობლებს აუცილებლად სჭირდებათ გვერდში დგომა. აუცილებლობად მიიჩნევს მშობლების ინფორმირებულობას ბავშვთა უფლებების შესახებ, რადგან საქართველოში აუტისტური სპექტრის მქონე პირების უფლებების დაცვის კუთხით ჯერ კიდევ რჩება პრობლემები. კვლავ გამოწვევას წარმოადგენს აუტიზმის მქონე ბავშვების ჯანმრთელობის დაცვის, მათთვის აუცილებელი პროგრამებისა და მომსახურებების ნაკლებობა, აბილიტაცია/რეაბილიტაციის სერვისების შეზღუდული რაოდენობა, ტერიტორიული ხელმისაწვდომობა; გაწეული მომსახურების ხარისხი, პერსონალის სიმწირე და კვალიფიკაცია. ინკლუზიური განათლების მიღების პროცესში არსებული ხარვეზები და არასაკმარისი მხარდაჭერა აფერხებს აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების მიერ ამ უფლების პრაქტიკულ რეალიზებას. სწორედ მსგავსი პრობლემის წინაშე დგას დღეს მაკა შარმაზანაშვილიც. მისი თქმით, დღევანდელი აუტისტური სპექტრის მქონე ბავშებისა თუ მშობლების პრობლემა, მსგავს პროგრამებთან და მომსახურებებთან ხელმისაწვდომობაა: *„ეს ჩვენთვის ძალიან რთული პროცესია, იმიტომ, რომ თერაპიას ჩვენ სახელმწიფო პროგრამებით ვერ ვიღებთ. თბილისში მაცხოვრებელი უნდა იყო, რომ მუდმივად სარგებლობდე და პროგრამაში იყო ჩასმული. ვინაიდან ჩვენ აქ ვცხოვრობთ, და ბავშვიც აქაა ჩაწერილი, გარდა ერთჯერადი დახმარებისა, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლებისგან ვიღებთ კურსებისთვის, სხვა ვერაფრით ვსარგებლობთ. ეს 500 ლარიც 10-12 მეცადინეობაა. ჩვენ კერძო სპეციალისტთან დავდიოდით, მაშინ მათე სამი წლისაც არ იყო. წლები ვმუშაობდით და ახლა, უკვე თვეებია, რაც შევწყვიტეთ. თუმცა, მე ვიცი, რომ ჩემს შვილს სჭირდება მსგავსი კურსები — ქცევითი თერაპია, ოკუპაციური თერაპია, არამარტო ლოგოპედი, კომპლექსური თერაპიაა საჭირო. და ისიც ვიცი, რომ აქ არაფერი არ გამოვა. იმიტომ, რომ ამ მხრივ რეგიონებში ძალიან ცუდი მდგომარეობაა. ვიცი, რომ დიდ ქალაქებში არის ცენტრები, მაგრამ მე თბილისში რომც ჩავწერო, ჩაწერიდან 3 წელი უნდა გავიდეს, რეალურად მომსახურების მიღება რომ შევძლოთ. ყველა ბავშვი ერთნაირი უფლებით უნდა სარგებლობდეს და ერთნაირად უნდა მიუწვდებოდეთ ხელი ნებისმიერი სახის მომსახურებაზე. რეგიონში მაცხოვრებელმა ბავშვმა რა დააშავა? ჩემთვის შეუძლებელია ფიზიკურად კვირაში რამდენიმე დღე თბილისში სიარული, ვერ დამყავს, სხვადასხვა გარემოების გამო. ამიტომ საჭიროა, რომ მშობლებს მსგავსი მომსახურებით მაინც დაეხმაროს ვინმე."*

თუკი გამოკვეთილი პრობლემების ფონზე ვიმსჯელებთ, მოგვარების მიზნით მნიშვნელოვანია დაიგეგმოს აუტიზმის მქონე პირთა საჭიროებებზე მორგებული ეფექტური ღონისძიებები. სახალხო დამცველი არაერთხელ მოუწოდებდა და დღემდე მოუწოდებს სახელმწიფოს, ხელი შეუწყოს აუტიზმის მქონე ყველა პირს უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების განხორციელებაში. უზრუნველყოს მათი სათანადო მხარდაჭერა, რათა სხვა პირებმაც თანაბრად შეძლონ და მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებში. საზოგადოება კი არასდროსაა ერთგვაროვანი: *„ვგრძნობ, რომ ცოტა განსხვავებულად გვიყურებენ. რა თქმა უნდა, პირდაპირ ვერავინ გეტყვის, მაგრამ... ადრე ცოტა სხვა სიტუაცია იყო, ახლა შედარებით გამოსწორებულია მდგომარეობა. დღეს მათე კომუნიკაბელურია, ბავშვებთან ურთიერთობაში აქტიურად ერთვება, ძალიან მოსწონს გარემო, საერთოდ არაა აგრესიული. ვეცადე, რომ მანამდე არსებული დამოკიდებულება შემეცვალა და ვფიქრობ, რომ შევცვალე კიდეც. საზოგადოებამ მიიღო მათე. ბაღშიც და ახლა უკვე სკოლაშიც, ბავშვებმა იციან, რომ მათეს არაფერი საშიში არ აქვს და პირიქით, უხარიათ მასთან თამაში."* — ამბობს მაკა შარმაზანაშვილი.

ძირითადი შეცდომა თუ პრობლემა პირველადი დეფინიციაა - აუტიზმი დაავადება არ არის, ის მდგომარეობაა, რომელიც ნეიროგანვითარებითი დარღვევით არის გამოწვეული. შესაბამისად, ის არც გადამდენია, არც მისი გენეტიკური განპირობებულობაა დადგენილი და არც ცვლილებების მაპროვოცირებელი კონკრეტული მიზეზი. კითხვაზე, თუ რა შეიცვალა მის ცხოვრებაში რაც აუტიზმის „გაცნობა" დაიწყო, მაკა ამბობს, რომ უფრო მებრძოლი გახდა და ყველაფერს სხვანაირად, სხვა კუთხით შეხედა. *„ჩვენ ამ ბავშვებს ბოლომდე ვერ ვმართავთ. მათ უნდა გაუგო. რაღაცებში თუ მე მას არ გავყევი, ის შემდეგ მე არ გამომყვება. გინდა არ გინდა, არასდროს დამთავრდება ბრძოლა. კი, რთულია, მაგრამ უნდა იბრძოლო. სხვანაირი ადამიანი ხდები. იმდენად სხვანაირი, რომ ბევრ რაღაცას ხედავ. მე არაფერი არ ვიცოდი შეზღუდულ შესაძლებლობებზე, ჩემს გვერდით მსგავი ადამიანი არ იყო. ყველაფერს სხვანაირად ვუყურებდი. ადრე თუ არ მიფიქრია კონკრეტულ საკითხებზე, ახლა უკვე ფიქრი დავიწყე. მე ახლა უფრო ამ ბავშვებისკენ ვარ, ვხვდები, რა სჭირდებათ და რატომ სჭირდებათ. ბევრი რაღაც ვისწავლე. ახლა დარწმუნებული ვარ, რომ ზუსტად ისეთი ვიყავი ადრე, როგორც ის მშობელი, ვისაც არ ჰყავს აუტიზმის მქონე ბავშვი. მივხვდი, რომ რეალურად ეს ბავშვები ხელს არავის არ უშლიან."*

საუბარი ლოგიკურ დასასრულს უახლოვდება. ვეკითხები, თუ რას ეტყოდა მშობლებს, ოჯახებს, რომლებიც ხმამაღლა არ ლაპარაკობენ ან საკმარისად ვერ იმაღლებენ ხმას, მალავენ საკუთარ შვილებს. მაკა კი მპასუხობს: *„მართლა, არასდროს დამიმალავს მათეს მდგომარეობა. პრობლემა სწორედ მანდ იქმნება, როდესაც რაღაცის დამალვა იწყება. მაინც ვერ დამალავ, თანაც ვის დაუმალავ? მხოლოდ საკუთარ თავს მოატყუებ. კი არ უნდა დამალოთ, პირიქით, უნდა იბრძოლოთ იმისთვის, რომ რაღაცა შეცვალოთ. მე არ ველოდები იმას, რომ ხვალ მათეს მდგომარეობა რადიკალურად გაუმჯობესდება, მაგრამ მინდა, რომ წინ წამოინიოს, შეიძინოს დამოუკიდებლად ყოფნის უნარ-ჩვევები, მიიღოს საჭირო სერვისების საჭირო მომსახურება. ჩვენს წინაშე არსებული მთავარი პრობლემაც ხომ სერვისებთან ხელმისაწვდომობაა. შვილების დამალვას არანაირი აზრი არ აქვს. პირიქით. ხან მგონია, რომ მათეს გარდა არსად აღარ ვიყურები. საზოგადოების აზრი დღეს ნაკლებად ზემოქმედებს ჩემზე, არასდროს ჩამიკეტია შვილი სახლში, შეძლებისდაგვარად ყველგან დამყავდა და დამყავს. ჩემი მთავარი მესიჯი სწორედ ეს იქნება: არ დამალოთ თქვენი შვილები! ღიად ისაუბრეთ ამაზე. ვისაუბროთ, რადგან ჩვენ ბევრნი ვართ!"*

რესპონდენტს ვემშვიდობები. წარმატებებს და წინსვლას ვუსურვებ. აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღე აღვნიშნეთ და ჩაიარა. დაგვრჩა სოციალურ სივრცეში ფაზლებიანი ბაფთით ან ლურჯი ფერის სიმბოლოთი აღნიშნული ფოტოები, ცოტაოდენი ინფორმაცია და ცოტაოდენი ყურადღება. უბრალოდ, ხანდახან, ცოტათი მაინც ვეცადოთ გავიხსენოთ და გავითვალისწინოთ საზოგადოების იმ ჯგუფის უფლებები და ინტერესები, რომლებიც რეალურად ებრძვიან ყოველდღიურ სტიგმას და ცდილობენ, იყვნენ ისინი, ვინც არიან. ხანდახან რა ცოტას ვითხოვთ და რა ბევრი გამოგვდის არა?

ეუეუნა ყანჩაშვილი

აუტიზმის მსოფლიო დღე აღნიშნეს

2 აპრილს აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით ქ. დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლაში სხვადასხვა აქტივობები გაიმართა. ცნობადობის ამაღლების მიზნით სხვადასხვა სოფლის სკოლაში შემეცნებითი ტრენინგები ჩაატარეს „ახალგაზრდული იდეა"-ს წევრებმაც. მათი ინიციატივით, საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა დედოფლისწყაროს №1, ხორნაბუჯის და ზემო ქედის საჯარო სკოლებშიც.

ქალაქ დედოფლისწყაროს №2 სკოლის სპეციალური მასწავლებლების ირინა ფიროსმანაშვილისა და თამარ პოპიაშვილის ორგანიზებით ჩატარდა აქტივობები თემაზე: "გაზარდე აუტიზმის ცნობადობა", რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო სკოლის დირექციამ, მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა.

„დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლა უერთდება ამ დღეს და თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს მოსწავლეების ინფორმირებულობის ამაღლებაში. ამ დღეს ჩვენი მიზანია გავავრცელოთ სწორი ინფორმაცია, რათა ადამიანებმა არ იგრძნონ თავი გარიყულად და გახდნენ საზოგადოების ნაწილი, რადგან ხშირად მის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობაა. სკოლა მუდმივად ცდილობს ყოველდღიური პროფესიული მოვალეობის შესრულებისას გავითვალისწინოთ ჩვენი საზოგადოების ყველა ჯგუფისა და წევრის ინტერესი, გავავრცელოთ სწორი ინფორმაცია და წავიდეთ ცნობადობიდან მიმღებლობისკენ, " - აცხადებენ მეორე სკოლაში.

დედოფლისწყაროში მცხოვრები აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების მშობლები კმაყოფილებას გამოხატავენ, რომ საზოგადოების ცნობიერების შესაცვლელად აქტივობები რეგიონებშიც იგეგმება და მსოფლიო დღე აღინიშნება.

„რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებში აუტიზმის შესახებ ცნობადობა გაიზარდოს და აუცილებელია, ჩვენმა საზოგადოებამ ისინი ისეთები მიიღოს, როგორებიც რეალურად არიან. ეს ბევრ რამეს შეცვლის. ერთობლივი ძალისხმევით და ჩართულობით საზოგადოებაში არსებული სტიგმა იქნება დამარცხებული, შეიცვლება დამოკიდებულებები შშმ პირების მიმართ, რაც ხელს შეუწყობს მათი უფლებების გამყარებას. აუტიზმი ის მოგზაურობაა, რაც არ დამიგეგმავს, მაგრამ მე ძალიან მიყვარს ჩემი გიდი, " – ამბობს 8 წლის მათეს დედა, მაკა შარმაზანაშვილი.

განათლება გიცავს!

„აქ 20 წლის გოგო უკვე დარჩენილია“, - ამბობენ კახეთში, სოფელ ყარაველაში მცხოვრები ქალები. ადრეული ქორწინება მხოლოდ ერთი სოფლის ან თემის პრობლემა არაა. გაეროს მოსახლეობის ფონდის ანგარიშის მიხედვით, ბავშვობის ასაკში ქორწინება მთელი ქვეყნის მასშტაბით, დედაქალაქის, თბილისის, ჩათვლით ჩვეულებრივი და გავრცელებული მოვლენაა. ასეთ ქორწინებად მიიჩნევა რეგისტრირებული ან არარეგისტრირებული კავშირი ორ ადამიანს შორის, რომელთაგან ერთი-ერთის მაინც არ მიუღწევია 18 წლამდე. ჩვენს გარშემოც უამრავი ქალია, რომლებმაც პატარა ასაკში შექმნეს ოჯახები. თინეიჯერები იყვნენ როდესაც შვილები გაჩინეს და თინეიჯერები იყვნენ, როდესაც მეულლეს გაშორდნენ. დღესდღეობით ზოგიერთ მათგანს ერთი ან რამდენიმე შვილი ჰყავს, მუშაობენ კიდეც, მაგრამ სრულყოფილი სწავლა ვერ მოახერხეს, ვერ მოახერხეს ვერც კონკრეტული პროფესიების სრულყოფილი შესწავლა.

კონკრეტული მაგალითები ხშირად მთლიანი სურათის დანახვის საშუალებას გვაძლევს. მთლიანი სურათი კი საქსტატის მიერ გამოქვეყნებული ძირითადი დემოგრაფიული მონაცემებია, რომლის მიხედვითაც გასულ წელს 15 წლამდე ასაკის ხუთმა გოგომ გააჩინა შვილი. 2017 წელთან შედარებით, ეს მაჩვენებელი განახევრებულია. ამასთან, 2018 წელს 15-დან 19 წლამდე ასაკის 3 112 გოგო გახდა დედა. წინა წელთან შედარებით, ეს რიცხვი 492-ით შემცირდა. გარდა ამისა, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით, გაზრდილია დედობის ასაკი – 25 წლამდე ასაკის დედების წილი ჯამში 32.7%-დან 31.1%-მდე შემცირდა, 25-დან 39 წლამდე ასაკის დედების წილი კი 64.6%-დან 66%-მდე გაიზარდა. საქსტატის ინფორმაციითვე, 40 წლის და უფროსი ასაკის დედების წილი თითქმის უცვლელია. გასულ წელს მშობიარობის ყველაზე დიდი წილი 25-დან 29 წლამდე ასაკის ქალებზე მოდიოდა. მათ ჯამში 16 548 ჩვილზე იმშობიარეს. წინა წელს იგივე მაჩვენებელი 17 350 იყო. ამასთან, 2018 წელს პირველი შვილის დაბადებისას დედის საშუალო ასაკი 25.6 წელი იყო. შეგახსენებთ, რომ 2018 წელს საქართველოში შობადობა 4%-ით შემცირდა, ბუნებრივი მატება კი 15.7%-ით.

საქსტატის მონაცემების გამოქვეყნებას წინ უძღოდა სქესობრივი აღზრდის საკითხის საკმაოდ აქტუალური განხილვა. ამ საკითხის აქტუალურობასთან ერთად ურთიერთსაპირისპირო გახდა ამ საკითხზე საზოგადოების შეხედულებები. ყველა ეთანხმება იმას, რომ აუცილებელია ბავშვებს სქესობრივი საკითხებისადმი სწორი დამოკიდებულება განვუვითაროთ, მაგრამ რა უნდა ვასწავლოთ და ვინ უნდა იყოს ამით დაკავებული, ამაზე კამათი კვლავაც მიმდინარეობს და აქაც, აზრები ისევ ურთიერთსაპირისპიროა.

არსებობს საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რომელიც კატეგორიულად უარყოფს სქესობრივი აღზრდის აუცილებლობას. გარკვეული ნაწილი კი ფიქრობს, რომ მსგავსი მიდგომა ბავშვის მიერ მშობლისგან თუ სკოლისგან მიღებული სქესობრივი ურთიერთობების შესახებ ინფორმაციის ნულამდე დაყვანას იწვევს. ბავშვები თუ მოზარდები, მსგავს ინფორმაციას ძირითადად თანატოლებისგან, შემთხვევით აღმოჩენილი წიგნიდან, მედიიდან თუ ინტერნეტიდან იღებენ.

აქტიურად განიხილება ამ პროცესში სწორედ სკოლის ჩართულობის მნიშვნელობა და როლი. გაჩნდა ინიციატივა, რომ სკოლებში სქესობრივი აღზრდის გაკვეთილები ჩატარდეს და ამით ხელი შეეწყოს ბავშვების ამ კუთხით განათლებას. სწორედ სქესობრივი აღზრდის გაკვეთილები იყო განხილვის თემა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტშიც. ცვლილებები, რომელსაც დეპუტატები სასულიერო პირებთან ერთად განიხილავდნენ, სკოლებში სექსუალური განათლების მიღების შეზღუდვას ეხებოდა. „სკოლებში სქესობრივი აღზრდის გაკვეთილები დასაშვები იქნება მხოლოდ და მხოლოდ მშობლის თანხმობით“ - განაცხადა ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარემ სოფიო კილაძემ. „ბავშვის უფლებათა კოდექსზე“ საუბრისას მან აღნიშნა, რომ ვიწრო ჯგუფის მიერ საზოგადოებისთვის და ეკლესიის ნაწილისთვის კოდექსის ძირითადი იდეის მიწოდება არასწორად მოხდა:

„სქესობრივი აღზრდის გაკვეთილები დასაშვები იქნება მხოლოდ და მხოლოდ მშობლის თანხმობით. ასევე, თუ ოჯახი მოითხოვს კონკრეტულ შემთხვევაში, მართლმადიდებლურ ეკლესიას და სხვა კონფესიებს, მათ უფლება ექნებათ, ჩაერთონ და კონსულტაციები გაიარონ ამ კონკრეტულ საკითხთან მიმართებით. უბრალოდ, მინდა, ვკითხო საზოგადოებას - ეს ყველაფერი შეიძლება იყოს ანტიეროვნული? - რა თქმა უნდა, არ შეიძლება. აქ არის კონკრეტული გარანტიები ჩადებული იმისა, რაც სჭირდება ჩვენს ქვეყანას, რაც სჭირდება ოჯახების გაძლიერებას, ჩვენი ბავშვების კეთილდღეობას.

გადავწყვიტეთ, კანონპროექტში ჩაგვეწერა მუხლი, რაც აბსოლუტურად თავსებადობაში მოდის საერთაშორისო სტანდარტებთან. რომელიმე მშობელს თუ უნდა თავის შვილს ჰქონდეს სქესობრივი აღზრდის გაკვეთილები, ეს შეუძლია, თუმცა მან ამაზე თანხმობა უნდა მისცეს. ვისაც არ აქვს ამის სურვილი, ვისი ღირებულებებიც ამას ეწინააღმდეგება, მაშინ სხვა ფორმით უნდა მიიღოს ბავშვმა ეს განათლება“, - განაცხადა კილაძემ. მისივე თქმით, შეიძლება მშობელი იმ კონკრეტული გაკვეთილების შინაარსს არ ეთანხმებოდეს. ***„ისეთი ფორმით მიწოდება არ უნდა მოხდეს, რომ საზოგადოებაში გამოიწვიოს დაპირისპირება, მღელვარება, ზოგჯერ სამართლიანი და ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ეს ფორმულირება ჩავსვათ და ასეთი ვალდებულება შემოვიტანოთ“,*** - განაცხადა სოფიო კილაძემ. მესამე სექტორის წარმომადგენლები კანონში არსებულ ცვლილებებს დისკრიმინაციულს უწოდებენ. სოფიო კილაძეს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გაფორმებული კონკორდატი შეახსენეს, რომლის მიხედვითაც სასკოლო ცხოვრებაში სასულიერო პირების ჩართვა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მოხდეს, როდესაც სწავლება უშუალოდ რელიგიას უკავშირდება. სქესობრივი აღზრდისთვის მესამე სექტორის წარმომადგენლები უფრო კომპეტენტურ პირებს ასახელებდნენ. მათ შორის ფსიქოლოგებს, ექიმებს, განათლების სპეციალისტებს.

რომელ ქვეყნებშია სქესობრივი განათლება სავალდებულო და რა შედეგები აქვს მის სწავლებას?



მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში სქესობრივი განათლება სასკოლო პროგრამის სავალდებულო ნაწილია. ამ მხრივ ყველაზე პროგრესულ ქვეყნად შვეიცარია მიიჩნევა, სადაც მოზარდებისთვის სქესობრივი განათლების სწავლება 1950-იანი წლების დასასრულს შემოიღეს. 1970-იან წლებში სქესობრივი განათლების საგნები გაჩნდა ფრანგულ და გერმანულ სკოლებშიც, მოგვიანებით კი სხვა ევროპულ სახელმწიფოებშიც. მაგალითად, ნიდერლანდებში უკვე 4-7 წლის ასაკში იგებენ ბავშვები, თუ როგორ არის ადამიანის სხეული მოწყობილი, ამასთან, ამ ქვეყანაში ადრეული ორსულობის მაჩვენებელი ერთ-ერთი ყველაზე დაბალია. აშშ-ში სქესობრივ განათლებაზე საგანი 1960-იან წლებში დანერგეს, ხოლო 2014 წლისთვის, ამერიკელ მშობელთა 90% მხარს უჭერდა ამ საგნის სწავლებას. მას შემდეგ, რაც 1986 წელს სქესობრივი აღზრდის პროგრამამ ფედერალური ბიუჯეტიდან დაფინანსება მიიღო, მოზარდებში აბორტების რაოდენობა ორჯერ შემცირდა. სხვა ქვეყნებში სქესობრივი აღზრდის კუთხით მდგომარეობა რთულია. 1998 წელს გაერომ სამედიცინო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებად დაასახელა. მას შემდეგ გაერო აზიასა და აფრიკაში ამ მიმართულებით საინფორმაციო ღონისძიებებს ატარებს - მოსახლეობას კონტრაცეპტივების და შიდსის შესახებ აწვდის ინფორმაციას. ჩინეთში ოჯახის დაგეგმვის ცენტრები არსებობს, თუმცა სასკოლო განათლებაში სქესობრივი აღზრდის პროგრამა არ შედის. 2017 წლის გაზაფხულზე, ჩინეთის ერთ-ერთი პროვინციის სკოლის მოსწავლეთა მშობლები იმის გამო აღშფოთდნენ, რომ მათ წიგნებში სასქესო ორგანოების ფოტოაღწერილობები და სექსუალური აქტი იყო განმარტებული. სპეციალისტების თქმით, ბავშვებისთვის სექსუალურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის დამალვას აზრი არ აქვს. მათი თქმით, ეს არაეფექტიანია, რადგან ბავშვები ამ ინფორმაციას მაინც ეძებენ, აკვირდებიან და შეწუხებულები არიან თავიანთი სხეულის ფორმირების გამო. საბოლოოდ, ბავშვები ამ ინფორმაციას პოულობენ, თუმცა ინფორმაციის წყარო ხშირად არასანდოა, რაც მათ რეალურ წარმოდგენებს უმახინჯებს. ექსპერტები ასევე ფიქრობენ, რომ ტრადიციული ფასეულობები ამ დროს ვერ მუშაობს, ამის მაგალითად კი ის გამოდგება, რომ კონსერვატიულ საზოგადოებებში, ადრეულ ასაკში აჩენენ ქალები ბავშვებს. სპეციალისტები ასევე ასახელებენ აშშ-ის სამხრეთით მდებარე კონსერვატიული შტატების მაგალითს - იქ ყოველწლიურად 176 მილიონი დოლარი იხარჯებოდა ე.წ. შეკავების პროგრამებზე, თუმცა საბოლოოდ აღიარეს, რომ ეს პროგრამა უშედეგო იყო.

ფსიქოლოგების აზრით, აუცილებელია, რომ ბავშვებმა მიიღონ ის საჭირო ინფორმაცია, რისი ცოდნაც მათ ასაკში მისაღებია. ინფორმაციის მიღების შემდეგ ისინი უკეთ დაცულები ხდებიან და შეძლებენ საკუთარი ემოციების მართვას. ფსიქოლოგები ამბობენ, რომ სექსუალური განათლება არ ნიშნავს გარყვნილებას. რეალურად, ჰოლისტური (მთლიანი) სექსუალური განათლება საკითხთა ფართო სპექტრს მოიცავს, მათ შორის ფიზიკურ, ემოციურ, სოციალურ და კულტურულ საკითხებს. იგი უნდა პასუხობდეს მოსწავლეების გენდერულ საჭიროებებს და ამ პროცესში მშობლებიც აქტიურად უნდა ილებდნენ მონაწილეობას. ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ ბავშვის სექსუალური განათლება უნდა იწყებოდეს პატარაობიდან, არაფორმალური განათლებით, კერძოდ კი - მშობლების დახმარებით; ისინი უნდა აწვდიდნენ ბავშვებს ინფორმაციას თავიანთი სხეულის, ემოციების შესახებ, შემდეგ კი ეს განათლება უნდა გრძელდებოდეს სკოლაში.ფსიქოლოგების მსგავსი მოსაზრება ემყარება სხვადასხვა ქვეყნების წარმატებულ გამოცდილებას, როდესაც სექსუალური განათლების შემოღებამ შეამცირა როგორც ინფექციების გადადების პროცენტული მაჩვენებელი, ასევე აბორტები, ნაადრევი ორსულობა (იგულისხმება არასრულწლოვნების ორსულობა), ძალადობა და ა.შ. ფსიქოლოგების აზრით, მოსაზრება, რომ სკოლაში სექსუალური განათლების შეტანით ბავშვები ისწავლიან ათას „გარყვნილებას“ ისევ საკითხის ზედაპირული ცოდნიდან მოდის. ბავშვებს და ახალგაზრდებს უკვე აქვთ წვდომა უამრავი სახის ინფორმაციაზე, მათ შორის პორნოგრაფიაზე, რომელიც ხელმისაწვდომია ისეთ პოპულარულ საიტებზე, როგორებიცაა Google, Youtube, Facebook და სხვა. ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ დღეს თითქმის ყველა ბავშვს და ახალგაზრდას აქვს ტელეფონი, რაც იმას ნიშნავს, რომ პორნოგრაფია ღილაკზე ერთი დაწკაპუნებითაა შესაძლებელი, ამიტომ ფსიქოლოგების აზრით, ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვის ერთადერთი გზა სრულყოფილი, ჰოლისტური სექსუალური განათლებაა.

გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, თუ რას ფიქრობენ საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები სკოლებში სექსუალური აღზრდის გაკვეთილების ჩატარების თაობაზე.

ნათელა თამაზაშვილი (ექიმი-გინეკოლოგი): ***„გაჩნდა ასაკს, რა ასაკიდან დაიწყება სწავლება. თუ ასეთი გაკვეთილები იქნება, მე-11 ან მე-12 კლასელებთან, საჭიროც კი არის, მაგრამ აი ამ კლასების ქვემოთ უკვე არასაჭიროდ მიმაჩნია, რადგან ამ ასაკის ბავშვებს ყველაფერი სხვანაირად ესმით და იგებენ. მე, როგორც სპეციალისტს, ადრეც მქონია შეხება არასრულწლოვან ორსულებთან. ადრე ასეთი შემთხვევები იყო, მაგრამ იშვიათად. დღეს,მოზარდები 12 და 13 წლის ასაკიდან უკვე იღებენ ინფორმაციებს სოციალურ ქსელებიდან. ამ ე.წ განვითარებამ სოციალურ ქსელებიდან, სადაც ძალიან ბევრი უსარგებლო ინფორმაცია იდება, აჩვენა, რომ ბავშვის გონება ჯერ არ არის მომწიფებული იმ დონეზე, რომ სწორი მიმართულებით აღიქვას ინტერნეტიდან მოსმენილი თუ წაკითხული მასალა. სოციალური ქსელებიდან ისინი სათანადო ინფორმაციას ვერ იღებენ. ბავშვს ამ ასაკში ფსიქოლოგი, ექიმი სჭირდება, რომ გაიგოს ყველაფერი ისე, როგორც საჭიროა. ჩვენ ვატარებდით შეხვედრა-ლექციებს სკოლებში ნაადრევ ქორწინებებზე, რა უარყოფითი შედეგები მოაქვს მას, სექსუალურ აღზრდასთან დაკავშირებულ საკითხებს ვაცნობდით მოსწავლეებს. ზედა კლასების მოსწავლეები უკვე იმ ასაკში არიან, რომ მათთვის საჭიროც კია მსგავსი განათლება, იმ თვალსაზრისით, რომ იცოდნენ რა შეიძლება მოჰყვეს ნაადრევ და, მითუმეტეს, დაუცველ სექსუალურ ცხოვრებას, რომ არსებობს გადამდები დაავადებების რისკი, თუ ექნებათ, უნდა ჰქონდეთ უსაფრთხო სექსუალური კავშირი, რომ უნდა იფიქრონ შედეგებზე, უნდა იცოდნენ, რომ საჭიროა ჰიგიენის დაცვა სექსუალურ ურთიერთობებში. მე ვარ ამ ყველაფრის მომხრე. ადრე, კომუნისტების დროს, იყო კიდეც საგანი, მართალია, შრომის გაკვეთილები ერქვა, მაგრამ უხსნიდნენ ბიჭებსაც და გოგონებსაც რა იყო მომწიფება, როგორ უნდა შეხვედროდნენ გოგონები დედათა წესის დაწყებას და ვაჟები პირველ სექსუალურ ურთიერთობებს. მაშინ მსგავსი საგანი იყო და ახლა ეს, რატომლაც, სოციალურ ქსელს მიანდეს, რაც ძალიან საშიშროა. ეს ძალიან საშინელ შედეგებს იწვევს. ოჯახებში, რატომღაც, დამალული და ტაბუდადებულია ეს ყველაფერი, და ქუჩაში გაგებული ნებისმიერი რამ დიდ ასაკში ცუდად აღიქმება. ჩემი აზრით, საჭიროა ფსიქოლოგები, რაზეც სკოლამ კი არა, ოჯახმა უნდა იზრუნოს. პატარა ასაკში ბავშვები სკოლაში არ უნდა იგებდნენ ამას. ლექციები უნდა ჩატარდეს თუ რა უარყოფითი შედეგები მოაქვს დაუგეგმავ ორსულობას, ნაადრევ ქორწინებას და ა.შ. მათ უნდა ჰქონდეთ ამაზე ინფორმაცია, რადგან ჩვენთან გაახალგაზრდავებულია ქორწინების ასაკი, განსაკუთრებით ეთნიკურ უმცირესობებში. ადრე ჰქონდათ ძალიან ბევრი კითხვები, როგორც ბავშვებს, ასევე მშობლებს, მასწავლებლებს, მომწიფების ასაკთან დაკავშირებით, მაგრამ დღეს ეს მაინც ტაბუდადებული თემებია. ექიმთან უფრო ადვილად იხსნებიან, ამიტომ მსგავსი ლექციები უნდა ჩაატარონ ექიმებმა, ფსიქოლოგებმა“.***

დარეჯან ბაღაშვილი (ბიოლოგიის მასწავლებელი): ***„დაბალ კლასებში მსგავსი სწავლების შემოტანას, მე პირადად, არ მივესალმები. მაღალ კლასებში, დაახლოებით მე-11 და მე-12 კლასებში ამ ინფორმაციის შემოატანა შესაძლებელია ლექციების სახით. ეს ყველაფერი ძალიან მოქმედებს ბავშვებზე. მე პირადად, როდესაც ვატარებ ხოლმე გაკვეთილს, რომელიც სწორედ მსგავს თემას ეხება, საკმაოდ დელეკატურად და აღმზრდელობითი კუთხით ვუდგები, რომ ბავშვებს სათანადო ინფორმაცია ჰქონდეთ მათთვის საჭირო და მნიშვნელოვან საკითხებზე. იქნება ეს გადამდები დაავადებების რისკი, სხეულის აგებულება, განვითარების ეტაპები და ა.შ. თუმცა, ისიც მიმაჩნია, რომ ეს ძალიან საფრთხილო საკითხია, არ მომწონს ის იდეა, რომ დაბალ კლასებში შემოვიდეს სექსუალური აღზრდის გაკვეთილები, ცალკე საგნად მისი არსებობაც არ მიმაჩნია საჭიროდ.“***

ანა ქოგულაშვილი (მშობელი): ***„მე მაინც არ ვეთანხმები სქესობრივი აღზრდის გაკვეთილების ჩატარებას. მე ჯერ აზრიც ვერ გამომაქვს ამ ინიციატივიდან. ცოტა უხერხულიცაა, მაგალითად, მსგავს საგანში თუ ნიშანს დაწერენ. თან ქართველების მიდგომას და ბუნებას თუ გავითვალისწინებთ მსგავსი თემების მიმართ, გაკვეთილების პროცესი რა იქნება წარმომიდგენია. სკოლა არ მგონია იყოს ის დაწესებულება, სადაც მსგავსი საგანი შეიძლება ისწავლებოდეს, მითუმეტეს, დაბალ კლასებში. რა ვიცი, აბა, თქვენ რას ფიქრობთ? როგორ წარმოგიდგენიათ. სახლში რომ მიხვალ და მშობელს რომ ეტყვი ამ საგანში ეს და ეს ჩავაბარე და ათიანი მივიღეო. ცოტა ღიმილის მომმგვრელია.“***

ნაადრევი ქორწინება, ადრეულ ასაკში ჩამოუყალიბებელი ორგანიზმი, ორსულობა, მშობიარობა, ადრეულ ასაკში აბორტები, არასასურველი ორსულობა, ვენერიული დაავადებები, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა — ეს იმ შედეგების მცირე ჩამონათვალია, რომელსაც ხშირად სექსუალური განათლების ნაკლებობა ან არ არსებობა იწვევს. სექსუალური განათლების ძირითადი მიზნები ადამიანის სასქესო ანატომიის, სქესობრივი რეპროდუქციული პრინციპების და რეპროდუქციული ჯანმრთელობის არსის გაცნობაა. ასევე, ემოციური ასპექტების, რეპროდუქციული კანონების, პასუხისმგებლობების და კონტრაცეფციის ასპექტების განხილვა. მაგრამ...

საზოგადოებრივი აზრი ორად იყოფა: ნაწილი ჯანსაღად მოაზროვნე, განათლებული, ინფორმირებული და დაცული თაობის გაზრდის იმედით უყურებს მოსალოდნელ ცვლილებებს, ნაწილი მსგავსი ცვლილებების საჭიროებას ადრეულ განათლებაში ვერ ხედავს, რადგან მიიჩნევენ, რომ მსგავსი განათლება ბავშვს ოჯახმა უნდა მისცეს. თუმცა, აზრთა შეჯამებისას, ყველა თანხმდება იმაზე, რომ განათლება, არ აქვს მნიშვნელობა რომელ სფეროში, ყოველთვის კარგი და მისაღებია. ეს ნიშნავს იმას, რომ უფრო მეტი გაიგო, ჩაწვდე და გამოიყენო მიღებული ცოდნა. განათლება განსაკუთრებით მაშინაა უსაფრთხოების გარანტი, როდესაც საქმე ტაბუირებულ თემებს ეხება. წინააღმდეგობას რა გამოლევს, მაგრამ როგორც ზიგმუნდ ფროიდმა თქვა, „წინააღმდეგობის აღმოჩენა პირველი ნაბიჯია მისი დაძლევისა“.

მოამზადა ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

ჯულიან ასანჟი - ვისთვის გმირი, ვისთვის - არა

ჯულიან ასანჟი გმირი არ არის და მის მომავლს ბრიტანეთის სასამართლოები გადაწყვეტენ - ეს სიტყვები ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ჯერემი ჰანტმა წარმოთქვა მას შემდეგ, რაც გავრცელდა ცნობა საყოველთაოდ ცნობილი „ვიკილიქსის“ დამფუძნებლის დაკავების შესახებ.

ასანჟმა თითქმის შვიდი წელი დაჰყო ლონდონში ეკვადორის საელჩოში, საიდანაც 11 აპრილს გაიყვანეს ბრიტანელმა პოლიციელებმა. ეკვადორის პრეზიდენტმა ლენინ მორენომ ის დაადანაშაულა „უზრდელ და აგრესიულ ქცევაში“, რომლის გამოც გარდაუვალი გახდა მისთვის თავშესაფარზე უარის თქმა.

რა შუაშია გმირი?

„ჩემთვის ჯულიან ასანჟი გმირია. რაც მან გამოაქვეყნა, იყო სიმართლის შემცველი ინფორმაცია, რომლის ნახვის უფლებაც

ჰქონდა ამერიკულ საზოგადოებასა და მსოფლიოს“, - ასე ფიქრობს ამერიკელი იურისტი და პუბლიცისტი ენდრიუ ნაპოლიტანო. 11 აპრილს „ვიკილიკსის“ დამფუძნებლის დაკავების შემდეგ მას გმირი უწოდა ჰოლივუდის ვარსკვლავმა პამელა ანდერსონმაც, რომელსაც ასანჟის მეგობრად მოიხსენიებენ. ლონდონში ეკვადორის საელჩოსთან, შემდეგ კი სასამართლოსთან, სადაც ასანჟი მიიყვანეს, შეიკრიბნენ მხარდამჭერები მისი გათავისუფლების მოთხოვნით. ადვოკატმა ჯენიფერ რობინზონმა თავისი კლიენტის დაკავებას უწოდა „სახიფათო პრეცედენტი“ ყველა მედიაორგანიზაციისა და ჟურნალისტისათვის. „ეს პრეცედენტი ნიშნავს, რომ ნებისმიერი ჟურნალისტი შეიძლება გადასცენ შეერთებულ შტატებს იმის გამო, რომ სიმართლე გამოაქვეყნა შეერთებული შტატების შესახებ“, – განაცხადა ადვოკატმა.

ასანჟი და „ვიკილიკსი“

47 წლის ჯულიან ასანჟმა, რომელიც ავსტრალიის მოქალაქეა, სახელი გაითქვა, როგორც ორგანიზაცია „ვიკილიკსის“ დამფუძნებელმა მას შემდეგ, რაც 2010 წლის ივლისიდან ოქტომბრამდე ამ ორგანიზაციის ვებსაიტზე გამოქვეყნდა ასიათასობით გასაიდუმლოებული დოკუმენტი: აშშ-ის დიპლომატებს შორის კერძო საუბრები და მსოფლიოს ლიდერებისა თუ პროცესების შესახებ მათი გულწრფელი შეხედულებები, ინფორმაცია სამხედრო ოპერაციებზე ავღანეთსა და ერაყში. ეს იყო უპრეცედენტო მასშტაბის ინფორმაციის გაჟონვა, რამაც აშშ-ის დიპლომატიას დიდი უხერხულობა შეუქმნა.

ვინ რას ერჩის ასანჟს?

შვედეთი. 2010 წლის ნოემბერში შვედეთმა გასცა ასანჟის დაპატიმრების ორდერი ორი ქალის მიმართ სექსუალურ ძალადობაში ბრალდების საფუძველზე. ასანჟი ბრალდებებს უარყოფს. 2017 წელს - ანუ, სანამ ასანჟი ლონდონში ეკვადორის საელჩოში იმყოფებოდა - შვედეთმა შეწყვიტა გამოძიება. თუმცა 11 აპრილს ასანჟის დაკავების შემდეგ სტოკჰოლმიდან გავრცელდა ცნობა, რომ პროკურატურას ოფიციალურად მიმართეს განაცხადით სექსუალური ძალადობის ბრალდებასთან დაკავშირებული გამოძიების განახლების შესახებ.

ბრიტანეთი. ასანჟს გასამართლებას უპირებენ 2012 წელს ბრიტანეთში გირაოთი განთავისუფლების პირობების დარღვევისათვის. საქმე ისაა, რომ 2010 წლის დეკემბერში - მას შემდეგ, რაც შვედეთმა ასანჟის დაპატიმრების ორდერი გასცა - ის ლონდონში პოლიციას ჩაბარდა. ასანჟი ჯერ დააკავეს, შემდეგ კი, შვედეთში ექსტრადიციის საკითხზე სასამართლოს გადაწყვეტილების მოლოდინში, გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. 2011 წელს გადაწყდა „ვიკილიკსის“ დამფუძნებლის შვედეთისათვის გადაცემა, მაგრამ ის შიშობდა, რომ შვედეთიდან მოელოდა ექსტრადიცია შეერთებულ შტატებში. ამიტომ, 2012 წელს ასანჟმა თავშესაფარი ითხოვა ლონდონში ეკვადორის საელჩოში. მიიღო კიდეც. 2019 წლის 11 აპრილს ლონდონის სასამართლომ გამოაცხადა, რომ 2012 წელს ასანჟმა დაარღვია გირაოთი გათავისუფლებასთან დაკავშირებული პირობები.

აშშ. 11 აპრილს ლონდონში ასანჟის დაკავების შემდეგ გავრცელდა აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს განცხადება, რომ ვებპორტალ „ვიკილიქსის“ დამფუძნებელს წაუყენეს „კომპიუტერში შესაღწევად“ შეთქმულების - კერძოდ, სამხედრო დაზვერვის ყოფილ ანალიტიკოს ჩელსი მენინგთან შეთქმულების - ბრალდება. ამავე განცხადებით, ბრალდება ემყარება ასანჟის თანხმობას პაროლის გატეხვაზე აშშ-ის მთავრობის გასაიდუმლოებულ კომპიუტერში შესაღწევად. ჯულიან ასანჟის დაკავებამ გზა გაუხსნა აშშ-ში შესაძლო ექსტრადიციას. დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში მას ხუთ წლამდე პატიმრობა ემუქრება.



ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. პოლონელი მეცნიერი, ჰელიოცენტრული სისტემის შემქმნელი 2. იტალიელი მწერალი, რომლის მოთხრობის მიხედვით გადაიღეს ფილმი ,,ქვევრი'' 3. ილუზიონისტი ... კოპერფილდი 4. უსაფუძვლოდ გამომცხვარი პური 5. უძველესი კოლხეთი 6. მწველავ ქალებს ყვავილი არ ემართებოდათ, რადგან შინაური პირუტყვის ყვავილისგან იღებდნენ იმუნიტეტს. ამ მოვლენას ყურადღება მიაქცია ედვარდ ჯენერმა. რა პირუტყვი იყო ეს 7. ქიმიური ელემენტი, რომელიც არის ჰემოგლობინში და გადააქვს ჟანგბადი 12. ძველად საქართველოში, რას უწოდებდნენ ადამიანს, რომელიც ადვოკატის მოვალეობას ასრულებდა 13. რომელი ბოსტნეულით ,,იგერიებდნენ'' ვამპირებს 15. იოჰან ...ბახი 16. ძველად, შვედეთის ქალაქ გურდენბურგში, რომელი მებენარი უნდა შეცოცებოდა წვერზე ყველაზე მხცოვან მოქალაქეს, რომ იგი ქალაქის მერად აერჩიათ 17. რომელი ფრინველის ბუმბულს ჰქვია გერმა 21. ალბანეთის დედაქალაქი 22. კუნძული ეგეოსის ზღვაში, სადაც მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება ჰელიოსის კოლოსი იდგა 23. სუომი, ანუ ... 24. ილფი და პეტროვი. ,,ოქროს ...'' 25. XVI საუკუნის ფრანგი მწერალი, ცნობილია მისი ღორმუცელა პერსონაჟი გარგანტუა 26. მოწყობილობა, რომელიც პირველად ლუდოვიკო XIV-მ გამოიყენა, რათა თავისი ფავორიტი ქალი მალულად მოენახულებინა

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 4. სტიქიონი, რომელმაც 1666 წელს ლონდონი გაანადგურა 8. რა უწოდეს რომის ამფითეატრს იმის გამო, რომ მის გვერდით იდგა ნერონის კოლოსალური ქანდაკება 9. რომელი ქვეყნის სიმბოლოა ქრიზანთემა 10. მაიოლიკა, ფაიანსი, ფაიფური - რა ჰქვია მათ ზოგადად 11. იგავების კრებული ''ქილილა და ...'' 14. კათოდთან დაწყვილებული ელექტროდი 15. მუსიკალური გამის მეშვიდე საფეხური 17. რუსი მხატვარი ნიკოლოზ ... 18. რომელ პალმას უწოდებდნენ პოლინეზიელები ,,სიცოცხლის ხეს'' 19. ბარდები - ირლანდიაში, რაფსოდები - ანტიკურ საბერძნეთში, ... - სკანდინავიაში 20. კავშირებითი სიტყვა 21. ქინაქინამდე რომელი ხის ქერქს იყენებდნენ მალარიის სამკურნალოდ 26. რომელი კომპოზიტორის ხელის მტევნის ქანდაკებები ჩამოასხეს მისი სიკვდილის შემდეგ 27. რომელი თანამედროვე სახელმწიფო მდებარეობს ყოფილი მესოპოტამიის დაბლობზე 28. ინერტული აირი 29. მსახიობი ... ჩურიკოვა 30. თხელი ფიცარი, რომელსაც მხატვრები იყენებენ საღებავების შესაზავებლად 31. ღომის ამოსაზელი ჯოხი 32. იგივეა, რაც ბრიზი

მონატრება

ნინო ტოკლიკიშვილი-ალუღიშვილი

2018 წლის 14 აპრილს დაეშვა შენი სიცოცხლის შავი ფარდა და შენ მარადისობაში გადახვედი. ერთი გაუსაძლისი წელი გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ, უფრო გაღრმავდა გულისტკივილი და ნახვის მარადიული სურვილი, ყოველი დღე უფრო მტკივნეულია და გაუსაძლისი. წახვედი და დაგვიტოვე უსასრულო სევდა. ნათქვამია, ღმერთს სასუფეველში რჩეულები მიჰყავსო და ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში შენი წასვლის შემდეგ დავრწმუნდი, შენ ხომ ჩემთვის შვილივით ძვირფასი იყავ და მოურჩენელი ტკივილი დატოვე ჩემს გულში. უფალს ვთხოვ, ნათელში გამყოფოს. ვერ მოესწარი შენი შვილების ბედნიერებას. მალე ბებია გახდები და რა დასანანია, რომ ვერ დაინახავს შენი თვალები პატარას, რომელიც შენი სისხლი და ხორცი იქნება, შენი შთამომავალი.

დედა მოუკვდეს ჩემს შვილს, რომელიც მეთოთხმეტე წელია, არ მინახავს. ან როგორ ვარ ცოცხალი ამდენ დარდში. ორივეს – ცოლსაც და ქმარსაც ასეთი მოურჩენელი ავადმყოფობა შეგხვდათ, ის უცხოეთში იტანჯება, შენ აქ გაიარე ჯოჯოხეთი სიცოცხლის თავით. ბედისწერამ დაგაშორათ ერთმანეთს.

უფალს შევთხოვ, ჩვენს მიერ დანთებული სანთლები და ლოცვა -ვედრება გინათებდეს სასუფევლისკენ მიმავალ გზას. მშვიდად განისვენე და ილოცე შენი ოჯახისთვის.

შენი დედამთილი
ზაირა ალუღიშვილი

გიორგი გონაშვილი

15 აპრილი - ეს შენი დაბადების დღეა, ბაბო მოგიკვდეს. უკვე მეორედ გილოცავთ დაბადების დღეს, შვილო, უშენოდ, 15 აპრილი სიყვარულის დღეა და, ალბათ, ამიტომ გქონდა დიდი სიყვარულით და სიკეთით სავსე გული, ყველას თანაბრად გვინაწილებდი სიყვარულს და სიხარულს, ჩემო ხითხითა ვაჟკაცო. ძალიან ძნელია, ძვირფასო, უშენობა, ძალიან გვენატრები ყველას და ძალიან გვწყურია შენი ნახვა, მაგრამ ულმობელ სიკვდილს ჩვენ ვერაფრით ვერ ვჯაბნით, ტრაგიკულმა შემთხვევამ დაგვაშორა ჩვენ ყველა ერთმანეთს, წახვედი და დაგვიტოვე პატარა სალომე გასაზრდელად, რომელიც ხშირად მოდის შენს საფლავზე, მოაქვს სანთლები და ყვავილები, პაწაწინა ხელებით გინთებს სანთლებს და ჩურჩულით გეუბნება: მამა, მე შენთან მოვედი, სანთელი აგინთეო. შენი მეუღლე ლიკა, მშობლები და ერთადერთი დედმამიშვილი - თამარი, არაფერს აკლებენ შენს პატარას.

15 აპრილს მოვალთ შენს სამუდამო საცხოვრებელთან, მოგილოცავთ დაბადების დღეს. შენ ხომ 26 წლის გახდები, ბაბო მოგიკვდეს, მოგიტანთ და დაგინთებთ 26 სანთელს. ცრემლით მოგირწყავთ ყვავილებს და უფალს შევავედრებთ შენს ლამაზ და სპეტაკ სულს, რომ იყო ნათელში და განისვენო იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. იძინე მშვიდად, ჩვენო გიორგი, ჩვენო „გონა“.

მონატრებით ბაბო და პაპა
ნაირა თემურაზოვი და თემო ზამთრეული ოჯახებით.

ბიძაშვილები: ნინო, ნუნუკა, გოგიტა, გია, ნათია, თაკო, ნინო, ირინა, მედეა, მადონა, მამუკა, ბადრი პოპიაშვილები, ვასიკო, ილიკო, ნინო ფიროსმანიშვილები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ მანანა პოპიაშვილს და ლევან უსტიაშვილს მამის

გიორგი უსტიაშვილის

გარდაცვალების გამო. დაიკრძალა შაბათს, 13 აპრილს, საგარეჯოს რაიონის მშობლიურ სოფელ პატარძეულში.

ცოტა რამ სიყვარულზე...

„სიყვარული ნიჭია,რომელიც ღმერთმა ადამიანს უბოძა და უბედურია ის,ვინც ამ ქვეყნიდან ამ ნიჭის გარეშე წავა„

ნოდარ დუმბაძე

რა არის სიყვარული?

გუგლის საძიებო სისტემა რომ გახსნათ და აკრიფოთ წინადადება „ რა არის სიყვარული?“, ე.წ განმარტების სახით, 29 წამში 2,500,000 შედეგი მოიძებნება. თანაც ეს მხოლოდ ქართულ ენაზე. თუკი ინგლისურად გადაწყვეტთ საკაცობრიო კითხვაზე პასუხის ძიებას, მაშინ შედეგი კიდევ უფრო გაიზრდება და ის 49 წამში 10,200,000,000—ს მიაღწევს. დიახ, ნამდვილად საოცრებაა. ის უფრო საოცრებაა, რომ ამდენ განმარტებას შორის ვერასდროს იპოვნით იმ ერთადერთს, რადგან ის არ არსებობს. ის ყველასთვის ინდივიდუალური, განსხვავებული და საკუთარია.

რა არის სიყვარული?

ალბათ, სიყვარული იმ აბსტრაქტულ ცნებებს შორის ერთ-ერთია, რომელსაც ვერასდროს ვხსნით და მიუხედავად ამისა, მაინც სულ გვაინტერესებს რა არის, როგორია, როდის და რა სახით შემოდის ის ჩვენს ცხოვრებაში. ზოგადად, ადამიანსაც, ხომ აუხსნელი თემები უფრო მეტად აინტერესებს, ვიდრე რუტინით გაჯერებული ყოველდღიურობა. მუდმივად ვინტერესდებით იმით, თუ როგორი ხარ, როცა გიყვარს, როგორ აღიქვამ სამყაროს, იცვლები თუ არ იცვლები... სიყვარული ერთ-ერთი ყველაზე ღრმა ემოციაა, რომელსაც ადამიანები განვიცდით. ის იმაზე დიდია, ვიდრე ჩვენი სრული ცხოვრება შეიძლება იყოს. ჩვენ მას ვერ ვაკონტროლებთ. არ შეგვიძლია გავაკონტროლოთ როდის, სად, როგორ და რანაირად დავიწყოთ სხვების სიყვარული. იქნებ, სწორედ ამიტომაც, ადამიანების 72%-ს უპირველეს ყოვლისა სიყვარულის სჯერა. ხანდახან სიყვარული ელვისებური ბზარია გულმკერდის არეში, რომლისთვისაც არასოდეს ხარ მზად.

რა არის სიყვარული?

სიყვარული არსებითად თავისუფალი გრძნობაა. ვხარჯავთ დღეებს, ღამეებს, საათებს, წუთებს და წამებს იმის გასაგებად, თუ რა არის და როგორ უნდა ავხსნათ, თუ ის „შეგვეყრება“. ამავდროულად, ჩნდება კითხვა: როგორ განსაზღვროთ მრავალმხრივი საგნის მნიშვნელობას, რომელსაც ვერ აკონტროლებთ და რომელიც არასოდეს აწესებს საზღვრებს?

რა არის სიყვარული?

სიყვარული სახიფათო რამეც ყოფილა — შენ შეგიძლია ის მაშინაც კი იგრძნო, როდესაც ბედნიერი, გაბრაზებული, სევდიანი, დაბნეული და ამავდროულად, აღფრთოვანებული ხარ. ჩვენი დამოკიდებულება სიყვარულის მიმართ შეიძლება მერყეობდეს მისი გამოხატვის საშუალებებიდან – ინტუიციამდე და სიამოვნებამდე. ხშირად, სიყვარულს ჩვენ, როგორც ქმედებას, ისე ვიყენებთ. ძალისხმევად, რომ შევინარჩუნოთ პარტნიორები, ოჯახი თუ მეგობრები. გუგლის 2,500,000 შედეგს შორის ძიებისას, ერთი საინტერესო ფაქტიც აღმოვაჩინე. აღმოჩნდა, რომ ძველი ბერძნები სიყვარულის განცდის აღსანიშნავად 7 სიტყვას იყენებდნენ: შენახვა — ბუნებრივი სითბო, ფილია— მეგობრობა, ეროს — სექსუალური და ეროტიკული, აგაპია — უპირობო, ღვთაებრივი სიყვარული, ლუდუს — ფლირტი, თამაში, პრაგმა — ჩადენილი, ე.წ დაქორწინებული სიყვარული, ფილათია — საკუთარი თავის სიყვარული. მიუხედავად იმისა, რომ სიყვარულის მრავალმხრივი გაგება არსებობს, ყველა ჩვენგანი გულის სიღრმეში მაინც იმ ერთადერთ, წრფელ და რომანტიკულ სიყვარულს ეძებს. ადამიანებს ასეთი სიყვარული კომფორტისთვის და განსხვავებული ურთიერთობებისთვის სჭირდებათ. ამიტომაცაა, რომ სიყვარულის იდეა განსაკუთრებულ როლს ასრულებს ჩვენს ცხოვრებაში. ვინაიდან სიყვარული სხვადასხვა ფორმას იღებს, შეგვიძლია თითოეული მათგანი იმ ფორმით მოვირგოთ, როგორსაც საკუთარ თავში აღმოვაჩენთ. სწორედ ამიტომაა ის რთული.

რა არის სიყვარული?

უფრო სიღრმეებში თუ წავალთ, სამეცნიერო თვალსაზრისით, სიყვარული არის ძლიერი და მუდმივი ნევროლოგიური მდგომარეობა. სიყვარული ქიმიაა და სულაც არ არის აუცილებელი და საჭირო, რომ მისი გაკონტროლება შეძლოთ. მაგალითად, ავიღოთ განსხვავება ვნებასა და სიყვარულს შორის. ვნება დროებითი სურვილია, რომელიც ამწვავებს ტესტოსტერონისა და ესტროგენების მდგომარეობას, ის ცოტა ხანს გრძელდება, ცოტა ხნის შემდეგ კი ნორმალიზდება და ქრება. მაგრამ როდესაც საქმე ჭეშმარიტ სიყვარულს ეხება, ტვინს შეუძლია გაათავისუფლოს ქიმიკატების მთელი კომპლექტი, რომლებიც სხვადასხვა გზით მისი გამოხატვის საშუალებას გაძლევენ.

რა არის სიყვარული?

სიყვარული ხანდახან ვალდებულებებიცაა, რაღაცის ან ვიღაცის მიმართ. გიყვარს, ე.ი ზრუნავ, გიყვარს, ე.ი არსებობ, გიყვარს, ე.ი სიკეთეა შენში. სიყვარული უდიდესი სიკეთეა, რომელიც შეიძლება იგრძნოთ. ის შეიძლება ვიგრძნოთ, ჩვენთვის მნიშვნელოვანი ადამიანების, ჩვენი მშობლების, მეგობრების, ბავშვებისა თუ ცხოველების მიმართ. სიყვარული შეიძლება იყოს არასწორი, ბრმა, ტრაგიკული, უპირობო, მტკიცე და შეუსაბამო. იგი სხვადასხვა ვარიანტს ირგებს. სიყვარული თანხმობაცაა, საერთო ღირებულებებს, შეხედულებებსა და ფასეულობებს შორის. სიყვარული, ყოველთვის თუ არა, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ საერთო საფუძველია, რომელიც ურთიერთობებს აღრმავებს, აყალიბებს, აშენებს.

რა არის სიყვარული?

მარკ ტვენმა თქვა: „სიყვარული სურვილია, რომ ძლიერად სურდე ვინმესო“. ჰემინგუეიმ კიდევ, თურმე „სიყვარულია, როდესაც აღმოაჩენთ, რომ სხვის ბედნიერებაში უფრო მეტი ბედნიერებაა, ვიდრე საკუთარშიო“. დოსტოევსკიმ დიდი ასოებით დაწერა, რომ „ჯოჯოხეთი ესაა ტანჯვა, იმის გამო, რომ სიყვარული არ შეგიძლიაო“. ხოლო, ჩვენმა ძვირფასმა გურამ დოჩანაშვილმა კი გვითხრა, რომ „დედამიწას სიყვარული ატრიალებსო“. სიყვარული ალბათ სწორედ ისეთად მოძრავი დედამიწაა, სადაც ადამიანებს ერთმანეთი ძლიერად სურთ, სადაც სხვის ბედნიერებაში უფრო მეტ ბედნიერებას პოულობენ და არ ხვდებიან იქ, სადაც უსიყვარულობა ჯოჯოხეთად განიხილება.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ჭაჭუნას აღკვეთილში ნერგები დარგეს

6 აპრილს „საბუკო“, დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და ჭაჭუნას აღკვეთილის თანამშრომლები და ქ. დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად ჭაჭუნას აღკვეთილს ესტუმრნენ. აღკვეთილში ხორციელდება საბუკოს ერთ-ერთი პროექტი, რომელიც ბექობის არწივის (Aquila heliaca) პოპულაციის აღდგენას ემსახურება. პროგრამა ჭაჭუნას აღკვეთილში, კერძოდ ივრის ჭალის ტყეებში, ჭალის მუხის დარგვას და მოვლასაც ითვალისწინებს. ამდენად, მე-8 კლასის მოსწავლეებმა, კლასის დამრიგებელთან, ნონა ტოკლიკიშვილთან ერთად საგანგებოდ შერჩეული ჭალის მუხის ნერგები დარგეს.

ჭაჭუნას აღკვეთილის თანამშრომლებმა ბავშვებს ადგილზე მიაწოდეს ინფორმაცია ჭალის ტყეების მნიშვნელობასა და ჭაჭუნას აღკვეთილის ტერიტორიაზე, როგორც ფრინველთათვის მნიშვნელოვან ადგილებზე. ისინი ასევე გაეცნენ დედოფლისწყაროს დაცული ტერიტორიების რაობას, მიიღეს დეტალური ინფორმაცია, თუ ვინ არიან რეინჯერები და რას მოიცავს მათი ყოველდღიური საქმიანობა. ბოლოს, ტყის მოვლისა და ნერგების დარგვის ინსტრუქციების გაცნობის შემდგომ გამწვანების აქცია გამართეს და ჭალის მუხის ნერგები დარგეს.

როგორც ექსკურსიის მსვლელობის დროს მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეებს ჭაჭუნას აღკვეთილის ადმინისტრაციაში განუმარტეს, ჭალის ტყეები ძირითადად მდინარეთა სანაპირო ზოლში გვხვდება და განსაკუთრებით დასაფასებელია არიდული რეგიონებისათვის. ასეთი ტყეები საქართველოში ძალიან ცოტაა შემორჩენილი, რადგან ადვილად ექვემდებარებიან ბუნებრივი მოვლენების და ანთროპოგენული ზეგავლენის უარყოფით შედეგებს.

ტყე ბიოსფეროს ეკოლოგიური წონასწორობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ბექობის არწივის პოპულაციის შემცირების ერთ-ერთ ფაქტორს კი წარმოადგენს ტყის მასიური დესტრუქცია (განსაკუთრებით სეროიზული ზიანის მომტანია დიდი და ძველი ხეების მოჭრა), რაც ამცირებს ფრინველის საბუდარ ადგილებს.

როგორც მეორე სკოლის პედაგოგი **ნონა ტოკლიკიშვილი** განმარტავს, ეს იყო ნაყოფიერი და მეტად საინტერესოდ დაგეგმილი ღონისძიება: „მინდა მადლობა გადავუხადო როგორც საბუკოს, ასევე დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ჭაჭუნას აღკვეთილის ადმინისტრაციასა და რეინჯერებს, ასეთი ლამაზი და შინაარსიანი დღისთვის“.

ექსკურსიით კმაყოფილებას გამოხატავენ მეორე სკოლის მოსწავლეებიც: „მე პირველად ვიყავი ჭაჭუნაში, ამიტომაც ძალიან ემოციური აღმოჩნდა ამ ბუნებრივი სილამაზის ხილვა. ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაფერმა. ეს აქტივობები მართლაც ბევრის მომცემი იყო რადგან გავიგე, ამიერიდან თუ როგორ უნდა დავრგო ნერგები სწორად. ნერგების გაშენება ძალიან მნიშვნელოვანია დედოფლისწყაროსთვის, რომელიც გაუდაბნოების საფრთხის წინაშე დგას და ბედნიერი ვარ, რომ ამ პროცესში ჩემი წვლილიც შევიტანე. რამდენიმე წელში ბავშვების მიერ დარგული მუხები გაიზრდება და ჩვენს რაიონს დაიცავს ჰაერის დაბინძურებისგან. ასევე დაიცავს ქარისგან და ქარისმიერი ეროზიისგან. რაც უფრო მეტი ხე დაირგვება და რაც მეტად დაცული იქნება ბუნება, კიდევ უფრო ლამაზი გარემო და მომხიბვლელი ბუნება გვექნება დედოფლისწყაროში. ეს კი ხელს შეუწყობს როგორც დაცული ტერიტორიის პოპულარობის ზრდას, ისე მთელი რაიონის. გაიზრდება ტურისტების რიცხვიც, რაც დედოფლისწყაროს განვითარებას ხელს შეუწყობს,“ – აღნიშნავს მეორე საჯარო სკოლის მოსწავლე **ანა ფაშალიშვილი.**

ულოცავენ! მაია ყოჩიაშვლს!

ქალბატონო მაია, გულწრფელი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას თქვენს ოჯახთან ერთად.

მადლობა გვერდში დგომისთვის და პატარებზე ზრუნვისთვის.

ღმერთი იყოს თქვენი და ჩვენი შემწე.

პატივისცემით,
დედოფლისწყაროს №2 ბაგა-ბაღის კოლექტივი.

ყურადღება!

საშაურმე **„დავითმა“** გაანაახლა ფუნქციონირება. აქ მომხმარებელს კვლავ სთავაზობენ შაურმას და გამაგრილებელ სასმელებს. **მისამართი:** ქ. დედოფლისწყარო, რუსთაველის ქ. №53 (სამაშველო სამსახურის მოპირდაპირედ).

☎ 557-23-92-22

მადლიერება!

ახლახან, „დაუნის სინდრომის“ საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კულტურის სახლში ჩვენი ბავშვებისთვის სპეციალური ღონისძიება „არავინ დატოვო მიღმა“ ჩატარდა. მისი დასრულების შემდეგ მე და ჩემი გოგონა ლანა მიგვიწვიეს რედაქციაში ინტერვიუს ჩასაწერად, სადაც სრულიად შემთხვევით შეიტყეს, რომ ჩემი ლანა ამ დრომდე ჩემი არაერთი უშედეგო მცდელობის მიუხედავად კუთვნილი პენსიის მიღმა იყო დარჩენილი. ეს იყო 21 მარტს და დღეს, 12 აპრილს ჩვენ უკვე საპენსიო პროგრამაში ჩაგვრთეს. იმედის სხივი დაგვიბრუნდა მე და ჩემს ოჯახს, პირველ რიგში ადამიანური თანადგომა და გულშემატკივრობა გვახარებს ყველაზე მეტად.

მინდა, ჩემი შვილის სახელით, უღრმესი მადლობა გადავუხადო პირველ რიგში გაზეთ „შირაქის“ რედაქციას, რომელმაც მთლიანად თავისთავზე აიღო ამ საკითხის ჩვენს სასარგებლოდ გადაჭრა, ასევე წნორის „არქიმედეს“კლინიკის ხელმძღვანელს ბატონ ოთარ რუაძეს, რომელმაც ზუსტად ერთ საათში შეძლო და მოაგვარა ჩვენი ამდენწლიანი პრობლემა, თბილისში, ქავთარაძის N21-ში, ფსიქო-ნევროლოგიური ცენტრის ბავშვთა განყოფილების მენეჯერს ქალბატონ გიული მარგიშვილს, რომელიც საავადმყოფოში მისვლის წუთიდან გვერდიდან არ მოგვცილდა და ერთ საათში უზრუნველჰყო ბავშვის სამედიცინო ექსპერტიზაზე გატარება, რომ ნამგზავრი ბავშვი არ გადაღლილიყო, მადლობა ფსიქიატრს – ნინო ნანეიშვილს და ჩვენი ფსიქიატრიული კაბინეტის ექიმს- სოფო ფათალიშვილს, ყველას, ვინც ჩვენი ტკივილი გაითავისა და უკეთესი ხვალინდელი დღის იმედი ჩაგვისახა, რადგან ჩემი გოგონას მდგომარეობიდან გამომდინარე, ეს თანხა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მისთვის.

პატივისცემით, ციალა თეთრაძე

ამინდი დედოფლისწყარო

	ორშაბათი 15.04		სამშაბათი 16.04		ოთხშაბათი 17.04		ხუთშაბათი 18.04		პარასკევი 19.04		შაბათი 20.04		კვირა 21.04	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	16°	14°	12°	11°	11°	6°	6°	5°	5°	4°	3°	2°	2°	1°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქ.ალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.